# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 16 ნოემბერი 2001 №220 (1493) | ფასი 50 თეთრი

# ჟორდანია ბრალდებულია

## საგამოძიებო სერიალი «ყბადაღებული და სად წაღებული 28 მილიონი» გრძელდება



[illegible] ფოტო

ოთხი სასამართლო პროცესი დასჭირდა „დინამოს" ყოფილ და სფფ-ის დღევანდელ პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას საიმისოდ, რათა სახელმწიფოსთვის 28 მილიონი ლარის დამალვის მძიმე ბრალდება მოეხსნა. როგორც ირკვევა, ეს ყოველივე საკმარისი არ აღმოჩნდა.

შსს-ს საგამოძიებო დეპარტამეტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის დევი მასხარაშვილის გუშინდელი განცხადებით, მერაბ ჟორდანია ბრალდებულია სახელმწიფოსთვის 28 მილიონის დამალვაში. ამ მკაცრი განცხადების არგუმენტად გამომძიებელს დიდუბე-ჩუღურეთის და საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილება მოჰყავს. ამ გადაწყვეტილების თანახმად, „28 მილიონის საქმე" კვლავაც ძიებაშია დაბრუნებული. ჟორდანიას მსგავსად ბრალდებულები არიან მერაბ რატიანი, ნაზი მამიანი და ვალერი შალიკაშვილი.

საგამოძიებო დეპარტამენტის განცხადებით, პოლიციამ სწორედ ამ მიზეზით მოიკითხა ჟორდანია რამდენიმე დღის წინ. გამოძიება მშვიდად შეხვდა პრეზიდენტის უცხოურ შვებულებას, თუმც დევი მასხარაშვილის თქმით, თუ დათქმულ ვადაში ჟორდანია თბილისში არ დაბრუნდა, არ არის გამორიცხული, გამოძიებამ სასამართლოს სანქცია მოსთხოვოს სფფ-ის პრეზიდენტზე.

მერაბ ჟორდანიას შვებულება 2 დეკემბერს უმთავრდება.

ბაათა კვანტალიანი

# შაითან! ტრიბუნაზე ქალია



REUTERS თეირანიდან

ბევრს კი ეცადნენ გუშინ ირანელები ირლანდიელთა გატეხვას, მატჩის მიწურულს შეიგივენის კარის ბადე და მილიონობით სპარსის გული შეარხიეს, მაგრამ ბოლოს მაინც ღორისმჭამელმა ევროპელებმა გაიხარეს და პირველ აზიურ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ისინი ითამაშებენ. თავს ჩამოვიხრჩობ, თქვენ თუ მსოფლიო არ განახეთო, ეფიცებოდა ირანელებს აზიელთა ხორვატი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი, თუმც ცოდვაში და ყულფში თავის გაყოფას ყოვლად ჩვეულებრივი გაცლა ამჯობინა: წავედიო, სიტყვა დაუგდო ცრემლად დაღვრილ ირანელებს. ამ დროს კი, ალაჰ, საოცრება, ტრიბუნაზე ქალი იყო და ხარობდა. ირლანდიელი, ცხადია, ოღონდ მუსლიმი დიაცის დარად შემოსილი.

მაშ ასე, კორეა-იაპონიაში გაისად გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 31 გუნდი უკვე ცნობილია. შესარჩევი ტურნირი სამხრეთამერიკელებმაც მოილიეს, არგენტინას, პარაგვაის და ეკვადორს ბრაზილიაც შეუერთდა.

ახლა ჯერი ავსტრალიასა და ურუგვაიზეა, რომელთა ორმატჩიან დუელში გამარჯვებული მსოფლიოს მარაქაში გაერევა.

იხილეთ მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეთერთმეტე გვერდები



ქალი ხარობდა, კაცი ტიროდა: გუშინ თეირანში არნახული მოხდა

# გოგიჩაიშვილის სამი საყვედური

## ფედერაცია თავს იყრუებს. მსაჯმა იცის, როდის შეცდეს. სადღაა საფეხბურთო საქართველო?!

...სხვა დრო იყო, სხვა ვითარება და ფეხბურთიც მაგნიტივით იზიდავდა ქართველებს. მოსკოვში ერთმა უწვერულმა ჩვენებურმა ბიჭმა ჩამოარა სპარტაკელი მცველები, გააპამპულა, მერე საბჭოთის ნომერ პირველ მეკარე რინატ დასაევსაც აჯობა და გამარჯვების მომტანი გოლით ჩინებული დებიუტიც მოიწყო საქართველოს უპირველეს გუნდში.

...მერე იყო ეროვნული ჩემპიონატი — „გურია", „შევარდენი", „სამტრედია", „დინამო", „ლოკომოტივი"... კახა გოგიჩაიშვილი დღესაც თავისი გუნდის ლიდერია. სწრაფი მარჯვენაფლანგელი კვლავ პირველობისთვის იბრძვის. თუმცა ამასაც ამბობდნენ, მეცამეტე ჩემპიონატი „გოგიჩას" გედის სიმღერაა ფეხბურთში. მიდის თუ არა, ამ კითხვამ მიგვიყვანა „ლოკომოტივის" ბაზაზე. ნავარჯიშევი და დაღლილი მოედნის კიდესთან ჩამოჯდა. საუბარიც შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ვეტერანთან.


ბადრი კეთილაძის ფოტო

კახა გოგიჩაიშვილი ფეხბურთელისთვის კრიტიკულ ასაკშიც ძველებურად ჩაუქრობს

— გადაჭრით დღეს ვერაფერს გეტყვით, თუმც წასვლაზე სერიოზულად ვფიქრობ.

**— ეროვნული ჩემპიონატის დონის გათვალისწინებით, თამაში ერთ-ორ წელიწადს კიდევ შეგიძლიათ.**

— ყველაფერს თავისი დრო აქვს. ვიცი, ამ ნაბიჯის გადადგმა გამიჭირდება, მაგრამ არც ის მინდა, მოედანზე ჩემგან მარტო სახელი დარჩეს. არ გამოვრიცხავ, კიდევ ერთი სეზონი გადავგორო. ყველაფერი გუნდში არსებულ ვითარებაზეა დამოკიდებული. ბოლო დროს ჯანმრთელობაც მღალატობს, ტრავმებიც მომეძალა. ასე რომ, მგონი, წასვლის დრო მოახლოვდა.

**— იმაზე თუ გიფიქრიათ, ფეხბურთიდან წასული რა გზას დაადგებით?**

— მხოლოდ ეს ვიცი, რომ არ დავიკარგები. რამდენიმე ვარიანტი მაქვს და ერთ-ერთს ავირჩევ.

**— კახა გოგიჩაიშვილმა არცთუ ხანმოკლე საფეხბურთო კარიერის მანძილზე ფეხბურთისთვის შესაძლებლობების მაქსიმუმი თუ გაიღო?**

— მხოლოდ ნახევარი. ამაზე ახლა, „სიბერის" ჟამს მწყდება გული. მართალია, ხელის შემშლელიც ბევრი რამ იყო, მაგრამ ძირითადად ჩემს თავს ვადანაშაულებ. სადღაც რაღაც დავაკელი ფეხბურთსაც და საკუთარ თავსაც.

**— უცნაურია, თქვენი თაობის ყველა ფეხბურთელი თითქმის ანალოგიური სიტყვებით პასუხობს ამ კითხვას.**

— როცა ფეხბურთში საუკეთესო წლები გიდგას, მომავალზე ნაკლებად ფიქრობ. გგონია, მუდამ ასე იქნება. დრო კი შეუმჩნევლად გარბის და გადამწყვეტი მომენტიც მოულოდნელად, დაუპატიჟებელი სტუმარივით მოგადგება კარს. ესაა ჩემი და ჩემისთანა ფეხბურთელების უბედურება.

**— ფეხბურთთან განშორების, ნოსტალგიის დრო მომავალშია. საუბრის თემა შევცვალოთ და აწმყოზე ვისაუბროთ. დღევანდელ „ლოკომოტივზე" რას გვეტყვით?**

— პერსპექტიული გუნდია, ერთ მუშტად შეკრული. ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონობა და მიზნის მისაღწევად ვიბრძოლებთ კიდეც. კახა ცხადაძემ შეძლო ახალი ყაიდის, შემტევი გუნდის შეკვრა. მართალია, ბევრია დასახვეწი, მაგრამ, ვფიქრობ, საფუძველი მყარია.

**— საქართველოში ჩემპიონობა, ჩვენი აზრით, სულაც არ ნიშნავს კარგ გუნდობას. ჩემპიონებიც გვინახავს და მერე ევროპაში შერცხვენილებიც–**

— იცით, ჩვენი უბედურება რა არის? გვგონია, რომ საფეხბურთო ქვეყანა ვართ. საქართველო იყო საფეხბურთო ქვეყანა, მერე მსოფლიოს ძალიან ჩამოვრჩით. ყველამ რაღაც ისწავლა, წინ წავიდა, ჩვენ კი ისიც დაგვავიწყდა, რაც სხვებისგან გამოგვარჩევდა. დღეს ლამაზი ფინტით ვის გააკვირვებ, თვალის დახამხამებაში გადაგივლიან. თანამედროვე ფეხბურთი დიდი ინდუსტრიაა — მწვრთნელი, ფეხბურთელი, პირობები და სხვა ათასგვარი წვრილმანი თუ მსხვილმანი პროცესების ერთობლიობა. ერთმა მნიშვნელოვანმა რგოლმაც რომ ვერ იმუშაოს გამართულად, შედეგი არ იქნება. საქართველოში კი ყველაფერი მოშლილია.

**— ჩემპიონატის დონეს რა აამაღლებს?**

— ყველამ თავისი საქმე აკეთოს. მწვრთნელი დროს არ უნდა ჩამორჩეს, ფეხბურთელმა სრულყოფისთვის იზრუნოს. ფედერაცია სამართლიანი უნდა იყოს, მსაჯი ობიექტური, ხოლო ქომაგი სამართლიანი. სხვათა შორის, ჟურნალისტების მიმართ არაფერი მაქვს სასაყვედურო, სიმართლეს ამბობთ და იმიტომ. მთელმა ქვეყანამ იცის, რაც ხდება, ჟურნალისტებმა დაწერეს, მაგრამ ფედერაციამ წაუყრუა. გაზაფხულზე არ იყო, „გორდა" — „სიონი" და „მერანი" — „კოლხეთი" საეჭვოდ რომ მიიჩნიეს? მაშინ ფირი არავის უძებნია, თხუთმეტი წუთი დასჭირდა სამართლიანი ვერდიქტის გამოტანას. თუ თავიდანვე იციან ჩემპიონის, პრიზიორების, გასავარდნ-დამრჩენების ვინაობა და ყველაფერი დათვლილია, მაშინ ჩემპიონატის ჩატარება რაღა საჭიროა.

**— მოდით, ერთი კვირის წინანდელი „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივი" გავიხსენოთ. ოქროს ქულები დაკარგა „ლოკომოტივმა" მცხეთაში. ბოლოს მსაჯებს შეუტიეთ სტუმრებმა.**

— მე არავის ვამტყუნებ. გვქონდა რეალური საგოლე მომენტები და ჩვენივე ბრალია, რომ ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ პირველ ტაიმში პენალტი გვეკუთვნოდა. მასპინძელთა საჯარიმოში ბურთი რომ მივიღე, მცველმა ჯერ მაისურზე დამქაჩა, მერე კი უკნიდან ფეხი მომხვდა და წავიქეცი. ყვითელ ბარათს არ ვიმსახურებდი, შეგნებულად არ წავქცეულვარ. მე ვიცი, რომ მომცელეს, მალაღურაძემ კი სულ სხვაგვარად დაინახა და განსა...

**— მსაჯიც ხომ ადამიანია და შეცდომის უფლებასაც ვერ წავართმევთ.**

— ვერ დაგეთანხმებით. ჩვენში არიან მცოდნე მსაჯები და ზოგჯერ გავუოცებივართ კიდეც, ისეთ რთულ სიტუაციებში გარკვეულან. ისინი შემთხვევით არ ცდებიან, არამედ იციან, როდის შეცდნენ. სწორედ ეს გვაქვს მათ მიმართ საპრეტენზიოც.

**— საქართველოში რომელ გუნდშიც გითამაშიათ, ყველა საჩემპიონოდ იბრძოდა, მაგრამ მიზანს მხოლოდ „დინამოში" მიაღწიეთ. თქვენი აზრით, რა დააკლდათ „გურიას", „შევარდენს", „სამტრედიასა" და „ლოკომოტივს"?**

— მართალია, აქამდე ოთხჯერ მეგონა თავი ჩემპიონი და საბოლოოდ პრიზიორობასღა დავჯერდი. იმ დროიდან მხოლოდ „შევარდენში" არ დამწყვეტია გული. მაშინ „დინამო" აშკარად ძლიერი იყო და სამართლიანადაც გაიმარჯვა, „სამტრედიას" კი ძალით წაართვეს პირველობა. გეხსომებათ, მაშინ რა დროც იყო.

**— ბოლოს ნაკრებზეც ვთქვათ და დავასრულოთ. ბევრის აზრით, ბოლო ორ შესარჩევ ციკლში საქართველოს ერთხელ მაინც შეეძლო პლეი ოფში ეთამაშა. იქ კი– და დღეს უკვე აქტუალურია უცხოელი მწვრთნელის მოწვევა, რომელიც საქართველოში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი, ნაკრების ყოფილი მოთამაშე რას ფიქრობს უცხოელი სპეციალისტის მოწვევაზე?**

— უცხოელიც არის და უცხოელიც. თუ ფეხბურთის ფედერაცია მოახერხებს კვალიფიციური, სახელიანი მწვრთნელის ჩამოყვანას, მაშინ მტერი უნდა იყო, საწინააღმდეგო აზრი გაგიჩნდეს. თუმც ძალიან მეეჭვება, ასე მოხდეს. ბოსკამპი, კარნევალი და მათნაირები ჩვენს ფეხბურთს დიდად ვერ შეეწევა. მათ მოწვევას ისევ ის სჯობს, ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებაზე იზრუნონ. გაუშვან სტაჟირებაზე, ათასგვარი სემინარებია საზღვარგარეთ. აქ მოაწყონ უცხოელი სპეციალისტების ვიზიტები. თუ არ ვცდები, ფედერაციამ მწვრთნელთა მომზადებაზე გააკეთა აქცენტი და ეს კარგია.

რაც შეეხება ნაკრების მომავალ თავკაცს, ჩემი არჩევანი ალექსანდრე ჩივაძეზე ჩერდება. როგორც ვიცი, ჩივაძე ისევ უარზეა, არადა, ეროვნული გუნდი ყველაზე გამართულად სწორედ მისი თავკაცობის დროს თამაშობდა. იყოს ჩივაძე, თუ, რა თქმა უნდა, სახელიან, მცოდნე უცხოელს არ ჩამოიყვანენ.

**ᲒᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

# გმადლობთ, ბატონო კოტე!

## ლაპარაკობს და უჩვენებს ხალხი

**ᲙᲝᲢᲔ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ** 75 წლისა მოყრილა. კაცი, ვინც ცხოვრება სცენაზე და მიკროფონთან გაატარა. მისი ხმის გაგონება ხალხს უხაროდა, ამ ხმაზე თაობები გაზრდილა. 75 წლისაა კაცი, რომლის რეპორტაჟებს მილიონები უსმენდნენ.

ამ დღეებში კოტე მახარაძე მრავალთა მადლობას იღებს. მადლობას მათგან, ვისთვისაც მუშაობდა, ენერგიას და ემოციებს ხარჯავდა.

რამდენჯერ გაიხარა თავად და რამდენჯერ გაგვახარა მისმა სიტყვებმა: იყო 1964 წელი, ტაშკენტის დაუვიწყარი „ოქროს მატჩი" და ეროსი მანჯგალაძე, იყო 1978 წელი, 79, სიხარულის ზღვა და მთავარი, ჯერაც განუმეორებელი — 1981 წლის 13 მაისი. „ლაპარაკობს და უჩვენებს დიუსელდორფი" — ასე დაიწყო კოტე მახარაძემ მაშინ... „წარმოუდგენია, რა ხდება ახლა თბილისში, ხარობს მთელი საქართველო". ასე დაამთავრა. სიტყვები, რომლებიც დღესაც ყურში ჩაესმით ქომაგთ.

და სიმბოლური იყო ისიც, გუშინ სპორტის სასახლეში უამრავი მილოცვის შემდეგ მისი სახელობის მოზარდთა ტურნირის გამარჯვებული თბილისის დინამოელები რომ გახდნენ და სამახსოვრო პრიზი სწორედ კოტე მახარაძისგან ჩაიბარეს.

„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს" — თქვა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა და იუბილარს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება უბოძა. „ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან" — ალექსანდრე ჩივაძემ კოტე მახარაძეს ეროვნული გუნდის 75-ნომრიანი და გვარით დამშვენებული შინდისფერი მაისურა გადასცა. ერთი სტუმარიც იყო სპორტის სასახლეში — სანკტ პეტერბურგიდან ცნობილი კომენტატორი გენადი ორლოვი ჩამოსულა. „ბატონი კოტე ჩემი მასწავლებელია" — თქვა იუბილარის რუსმა მეგობარმა.

ბატონი კოტე კიდევ ბევრის მასწავლებელია.

ხმა და ჯანი არ გაგბზაროდეთ, იუბილარო!

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ**

I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XX ᲢᲣᲠᲘ

**ᲡᲢᲝᲙᲞᲝᲠᲢᲘ 2:1 ᲜᲝᲠᲕᲘᲩᲘ**





გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

იუბილარმა დაასაჩუქრა, იუბილარი დაასაჩუქრეს

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი ეტაპი

16 ტური

ანონსი

# ანგარიშსწორების და მრგვალი ბურთის პრინციპები

16 ნოემბერი

**ლოკომოტივი — გურია**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 2+2=0-0 | 3:1 |
| სულ: | 5+5=0-0 | 10:2 |

მსაჯები: ა. მუმკოვი; ა. ნონიკაშვილი, კ. თბილელი (სამივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

17 ნოემბერი

**დინამო — ვიტ ჯორჯია**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 6+3=3-0 | 13:5 |
| სულ: | 13+6=5-2 | 19:8 |

**კოლხეთი — სიონი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 6+6=0-0 | 18:1 |
| სულ: | 13+9=2-2 | 31:7 |

**ტორპედო — გორდა**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 10+9=0-1 | 25:5 |
| სულ: | 22+12=2-8 | 47:25 |

**სამგურალი — ბათუმი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 10+3=5-2 | 12:12 |
| სულ: | 20+3=7-10 | 18:49 |

**მერანი — მეტალურგი**

| | | |
|---|---|---|
| სულ: | 1+1=0-0 | 1:0 |

**სამი** ტურიც და მეცამეტე ეროვნულს ზამთრის სამთვიანი არდადეგები დაეწყება. გამოზამთრებამდე გუნდებს მნიშვნელოვანი მატჩები ელით. უკვე გამოკვეთილია, ვინ იბრძოლებს ჩემპიონობისთვის, ზეექვსეულისთვის და არგავარდნისთვის, მაგრამ საქმე გაზაფხულამდეც არის საკეთებელი.

დღეს ერთი მატჩია, ვიცე-ჩემპიონი გურულებს უმასპინძლებს. რკინიგზელებს სრული კონცენტრაცია მართებთ, რადგან უსუსური სტარტის შემდეგ ლანჩხუთელებმა თითქოს ძალა მოიკრიფეს და ორი სენსაციაც გამოაცხვეს — სტუმრად „დინამოსთან" ფრეს გამორჩნენ, წინა ტურში კი შინ „კოლხეთი" დაამარცხეს. „გურიას" ჩვენს ჩემპიონატში კარგად გამოწრთობილი რამდენიმე მოთამაშე ჰყავს და მათი გამოცდილებით უწევს ფონს გასვლა. თუმც ამ მატჩში ფავორიტი, ცხადია, „ლოკომოტივია". თანაც კახა ცხადაძის გუნდში ის ფეხბურთელი ათამაშდა, ვისაც თამაშის „გაკეთება" შეუძლია — ვეტერანი გოგიჩაიშვილის ფაქტორი საჩემპიონო რბოლაში ბევრ რამეს გადაწყვეტს.

ტურის ცენტრალურ მატჩად „დინამო" — „ვიტ ჯორჯია" უნდა მივიჩნიოთ. ვეტერინარებს კარგი დღეები არ უდგათ, მათი წამყვანი მოთამაშეები ველარ ბრწყინავენ, რაც, ალბათ, უფრო იმითაა განპირობებული, რომ ისინი იტალიიდან დღე-დღეზე ელიან ახალ კლუბში გადასვლის პერსპექტივებს. ბოლო ოთხი ტურია, ვიტელებმა მოგება რაა, არ იციან, ხოლო ბოლო სამ მატჩში გოლის გატანაც კი ვერ შეძლეს. მორიგ წარუმატებლობას ვიტელებს მდევარი „კოლხეთი", ალბათ, არ აპატიებს და ზეექვსეულშიც მოკალათდება.

„ვიტ ჯორჯიას" კერძო ანგარიშებიც აქვს „დინამოსთან". წინა ჩემპიონატის ბოლო ტურში სწორედ „დინამომ" არ დაანება უეფას თასის საგზური და ოლენ ინტერტოტო აკმარა (ის მატჩი მცხეთაში 0:0 დამთავრდა, ვეტერინარებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა უეფას თასის საგზურს). მეცამეტე ეროვნულის პირველ წრეში ვიტელებმა გოგიბერაშვილის 30 მეტრიდან გასროლილით სძლიეს გივი ნოდიას გუნდს. ამ დროისთვის კი ძალათა ბალანსი აშკარად „დინამოს" მხარესაა. ასე თუ ისე, ათგზის ჩემპიონმა კრიზისს თავი დააღწია, ბოლო სამი მატჩი მოიგო და საერთოდ, მოთამაშეთა კონტინგენტის მხრივ ჩემპიონობის აშკარა პრეტენდენტია, მაგრამ რაც უშლის ხელს, ყველამ კარგად იცის. თუმც ვნახოთ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის. შესაძლოა, ხვალ „დინამომ" მოწამლული ვახტანგ იაგორაშვილი და წინა ტურში მსუბუქად დაშავებული ზაზა ზირაქიშვილი იახლოს.

ჩემპიონს მორიგი გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს. „ტორპედო" ყველაზე შეკრული, კომპაქტური გუნდია მეცამეტე ეროვნულშიც. მართალია, ის რალაცრალაცეებში ამხილეს და მითქმა-მოთქმაც არ წყდება, მაგრამ რევაზ ძოძუაშვილს რომ მოწესრიგებული და ძლიერი გუნდი ჰყავს, წყალი არ გაუვა. „გორდასთვის" კი ალბათ ფრე მაქსიმალური შედეგი იქნება. რუსთაველებს რაიმე ისეთი კოზირი არ გააჩნიათ, რითაც ქუთაისელებს გადასწონიან — ბურთი მრგვალია, ალბათ, ეს იქნება მათი მთავარი პრინციპი.

ფოთელები „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩის შედეგს დიდი ინტერესით კი ელიან, თუმც მათაც გვარიანად მოუწევთ გარჯა. ბოლნისის „სიონი" ზეექვსეულზე პრეტენზიას არ აცხადებს, მაგრამ არც ქულების განიავებას შეეგუება. „კოლხეთს" ამ ტურის შემდეგ რუსთავში უწევს გასვლა, მერე შინ „ბათუმს" დაუხვდება — კალენდარი არც თუ სახარბიელოა და ხვალ ფოთელები მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. ისე კი, „სიონს" ჯერ ფრეც ვერ გაუხერხებია „ფაზისზე", მუდამ ფოთელები უგებდნენ ქვემოქართლელებს.

ზღვისპირეთის მეორე წარმომადგენელი საკურორტო ალაგს დასცემს ბანაკს. ასლან ბალაძეს მეხუთე ადგილი მომდევნო ტურამდე გარანტირებული კი აქვს, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში იმის შანსიც ეძლევა, მესამე ადგილზე აინაცვლოს. ბათუმელთა რიგებში ბოლო დროს აშკარად დაწინაურდა ახალგაზრდა შუახაზელი ვიტალი დარჩიძე. ის შედეგიანობითაც გამოირჩევა და ფორვარდ შალვა აფხაზავას დარად ხუთი ბურთი აქვს გატანილი მე-16 ტურამდე. „სამგურალი" თავისას ეცდება. წყალტუბოელები ეპიზოდებში ურიგო ფეხბურთს არ აჩვენებენ და შესწევთ ძალა, ბოლოსწინა ადგილს გასცდნენ.

კიდევ ერთ იმერულ გუნდს კი ავჭალა დაუხვდება. ოთარ გაბელიას „მერანი" არასტაბილურობითაც გამოირჩევა, მაგრამ შინ ერთობ ძნელი გასატეხია, რაც მეცამეტე ეროვნულში მხოლოდ ფოთელებმა შეძლეს. გაგუა-დავითაშვილის შემტევი დუეტი ბევრ პრობლემას შეუქმნის „მეტალურგს", თუმც ზესტაფონელებისთვის ფრე მიუღწეველი შედეგი სულაც არ არის.

მაშ ასე, პარასკევს და შაბათს ეროვნული ფეხბურთისთვის მოვცდეთ, უქმეების ბოლო დღეს კი „ლოკომოტივის" კოპწია სტადიონს ფეხბურთისთვის არ ეცლება, იქ ოვალური ბურთი გაგორდება.

**დავით თავართქილაძე**

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 8 - | კვერთია | ტორპედო |
| | ბობოხიძე | დინამო |
| | გაგუა | მერანი |
| | წივწივაძე | კოლხეთი |
| 7 - | დათვაძე | ლოკომოტივი |
| | პოროშინი | ტორპედო |
| 6 - | გოგობერიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | დავითაშვილი | მერანი |
| | იონანიძე | ტორპედო |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |
| | ქუთათელაძე | ტორპედო |
| 5 - | აფხაზავა | ბათუმი |
| | ბურდული | დინამო |
| | დარჩიძე | ბათუმი |
| | დიდავა | ტორპედო |
| | მუმლაძე | კოლხეთი |



დინამოელი გიორგი მიქაძე (მარცხნივ) და ვიტელი ალექსანდრე ინწკირველი

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 15 | 12 | 2 | 1 | 37:10 | 27 | 38 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:5 | 14 | 19 | 8 | 6 | 1 | 1 | 18:5 | 13 | 19 |
| 2 | ლოკომოტივი | 15 | 11 | 2 | 2 | 30:8 | 22 | 35 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:3 | 12 | 19 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:5 | 10 | 16 |
| 3 | დინამო | 15 | 8 | 3 | 4 | 34:12 | 22 | 27 | 7 | 3 | 3 | 1 | 23:6 | 17 | 12 | 8 | 5 | 0 | 3 | 11:6 | 5 | 15 |
| 4 | მერანი | 15 | 8 | 1 | 6 | 26:22 | 4 | 25 | 7 | 6 | 0 | 1 | 18:5 | 13 | 18 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:17 | -9 | 7 |
| 5 | ბათუმი | 15 | 7 | 4 | 4 | 20:19 | 1 | 25 | 8 | 7 | 0 | 1 | 16:5 | 11 | 21 | 7 | 0 | 4 | 3 | 4:14 | -10 | 4 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 6 | 4 | 19:16 | 3 | 21 | 8 | 3 | 5 | 0 | 6:3 | 3 | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 13:13 | 0 | 7 |
| 7 | კოლხეთი | 15 | 6 | 3 | 6 | 23:24 | -1 | 21 | 7 | 5 | 1 | 1 | 18:10 | 8 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:14 | -9 | 5 |
| 8 | სიონი | 15 | 4 | 4 | 7 | 10:21 | -11 | 16 | 8 | 4 | 1 | 3 | 9:11 | -2 | 13 | 7 | 0 | 3 | 4 | 1:10 | -9 | 3 |
| 9 | გურია | 15 | 2 | 6 | 7 | 12:24 | -12 | 12 | 8 | 1 | 4 | 3 | 4:10 | -6 | 7 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 5 |
| 10 | გორდა | 15 | 2 | 4 | 9 | 13:28 | -15 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | -6 | 7 | 7 | 0 | 3 | 4 | 5:14 | -9 | 3 |
| 11 | სამგურალი | 15 | 2 | 4 | 9 | 10:28 | -18 | 10 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 8 | 0 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 1 |
| 12 | მეტალურგი | 15 | 1 | 5 | 9 | 6:28 | -22 | 8 | 8 | 1 | 2 | 5 | 3:13 | -10 | 5 | 7 | 0 | 3 | 4 | 3:15 | -12 | 3 |

უმაღლესი ლიგა

გუშინწინდელ „სარბიელში" გაუწყეთ, რომ რატი ალექსიძე და მისი მენეჯერი არაბრიტანული კლუბების ვარიანტებზე ფიქრობენ, რადგან ჩვენებურს მხოლოდ ერთი წლის მერე ექნება უფლება, ბრიტანეთის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტს თხოვნით მიმართოს გაერთიანებულ სამეფოს სხვა რომელიმე კლუბში გადასვლის ნებართვისთვის.

„ჩელსის" დირექტორმა კოლინ ჰათჩისონმა კი გუშინ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რატი ალექსიძეთი ბუნდესლიგაში ახლადაღზევებული „ნიურნბერგი" დაინტერესდა და იქვე დაამატა, მოლაპარაკებები „ჩელსისა" და გერმანულ კლუბს შორის უკვე დაწყებულიაო.

რატი ალექსიძეს წუხელ ლონდონში შევეხმიანეთ.



# ალექსიძემ ნიურნბერგში იმეცადინა

— ჯერჯერობით არაფერი გადაწყვეტილა და გადაჭრით რა გითხრათ. „ნიურნბერგში" ჩემს შესაძლო გადასვლაზე კი არის ლაპარაკი, თუმც ბევრი რამ გაურკვეველია.

**— როგორ მოხდა „ნიურნბერგის" „ჩელსისთან" და შენთან დაკავშირება?**

— „ნიურნბერგი" თავდამსხმელს ეძებს და ჩემმა აგენტმაც იმუშავა ამაზე. მაცნობა, რომ გერმანელები ჩემით დაინტერესდნენ. ამის შემდეგ „ნიურნბერგსა" და „ჩელსის" ფაქსებით მიმოწერაც ჰქონდათ.

**— „ჩელსი" განათხოვრების წესით აპირებს შენს გერმანიაში გაშვებას?**

— ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი და გაურკვეველია ისიც, „ნიურნბერგში" ჩემი გადასვლის შემთხვევაში რა სახით განხორციელდება ტრანსფერი.

**— „ნიურნბერგმა" უკვე გადაწყვიტა შენი გადაბირება?**

— ვერ გეტყვით, ისე კი, გუშინ ამ კლუბის მიწვევით ნიურნბერგში ჩავედი ერთი დღით. „ნიურნბერგის" პრეზიდენტსა და მთავარ მწვრთნელს შევხვდი. მათი თხოვნით, დილით გუნდის ფეხბურთელებთან ერთად უბურთოდ, მსუბუქად ვივარჯიშე, საღამოს კი თეორიულ მეცადინეობასაც დავესწარი. ეს იყო ვიზიტი მათი მხრიდან ჩემი გაცნობის მიზნით.

**— მაინც როდის გაირკვევა ყოველივე?**

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ორ დღეში არა.

**— ბუნდესლიგაში თამაშის პერსპექტივა, ცხადია, ძალიან გხიბლავს...**

— ერთი სული მაქვს ვითამაშო, ამდენი უთამაშებლობით აღარ ვიცი, რა ვქნა. ბუნდესლიგა კი არა, ინგლისის პირველ დივიზიონსა და მეორე ბუნდესლიგაზეც ყაბულსა ვარ.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი რეგიონული ლიგა პირველი წრე

აღმოსავლეთი

მეთოთხმეტე ტური. აკადემია — მხუდი 3:2; ალაზანი — ლიახვი 3:1; გორდა 2 — მცხეთა 0:0; ოლიმპიკი — ივერია 5:2; ვიტ ჯორჯია 2 — ზოოვეტი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 14 | 11 | 2 | 1 | 33:7 | 35 |
| ალაზანი | 14 | 10 | 2 | 2 | 38:15 | 32 |
| ივერია | 14 | 9 | 2 | 3 | 37:21 | 29 |
| მაუდი | 14 | 9 | 2 | 3 | 21:10 | 29 |
| ოლიმპიკი | 14 | 8 | 3 | 3 | 32:15 | 27 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 14 | 7 | 4 | 3 | 38:11 | 25 |
| ზოოვეტი | 14 | 8 | 1 | 5 | 25:18 | 25 |
| აკადემია | 13 | 6 | 4 | 3 | 25:18 | 22 |
| ცხუმი | 14 | 6 | 3 | 5 | 27:18 | 21 |
| ჭაბუკიანი | 13 | 5 | 6 | 2 | 17:9 | 21 |
| ვარძია | 13 | 6 | 3 | 4 | 13:13 | 21 |
| გორდა 2 | 14 | 4 | 4 | 6 | 21:19 | 16 |
| ლიახვი | 13 | 5 | 1 | 7 | 19:26 | 16 |
| მესხეთი | 13 | 4 | 1 | 8 | 13:24 | 13 |
| თბილისი | 13 | 3 | 2 | 8 | 18:30 | 11 |
| კრწანისი | 14 | 3 | 2 | 9 | 15:35 | 11 |
| დინამო 3 | 13 | 2 | 4 | 7 | 17:28 | 10 |
| მერანი 3 | 13 | 3 | 1 | 9 | 12:34 | 10 |
| მრეტები | 14 | 1 | 4 | 9 | 21:32 | 7 |
| ჯავახი | 14 | 0 | 1 | 13 | 12:71 | 1 |

დასავლეთი

მეთექვსმეტე ტური. საირმე — სალხინო 2:1; სულორი — გურია 2 გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 15 | 13 | 2 | 0 | 39:10 | 41 |
| საპოვნელა | 16 | 11 | 3 | 2 | 52:16 | 36 |
| სულორი | 15 | 12 | 0 | 3 | 41:18 | 36 |
| ზუგდიდი | 15 | 11 | 2 | 2 | 31:13 | 35 |
| გურია 2 | 15 | 10 | 3 | 2 | 43:14 | 33 |
| კოლხეთი 2 | 16 | 8 | 5 | 3 | 26:13 | 29 |
| მალაროელი | 16 | 9 | 1 | 6 | 33:24 | 28 |
| სალხინო | 16 | 9 | 0 | 7 | 24:24 | 27 |
| ინტერი | 15 | 8 | 1 | 6 | 20:15 | 25 |
| საირმე | 16 | 7 | 2 | 7 | 17:16 | 23 |
| მეტალურგი 2 | 15 | 6 | 3 | 6 | 21:22 | 21 |
| სქური | 15 | 6 | 2 | 7 | 22:29 | 20 |
| ეგრისი | 15 | 6 | 1 | 8 | 21:24 | 19 |
| გზები | 16 | 5 | 1 | 10 | 16:26 | 16 |
| ბათუმი 2 | 16 | 4 | 2 | 10 | 11:27 | 14 |
| სამეგრელო | 15 | 3 | 2 | 10 | 20:36 | 11 |
| სოხუმი | 16 | 2 | 4 | 10 | 19:36 | 10 |
| ჩიხურა | 16 | 3 | 1 | 12 | 13:43 | 10 |
| ლუკა | 16 | 3 | 1 | 12 | 16:49 | 10 |
| ოკრიბა | 15 | 1 | 0 | 14 | 7:37 | 3 |

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## ევროპა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია 4:1 უკრაინა (1:1)

დორტმუნდი. 14 ნოემბერი. „ვესტფალენშტადიონი". მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია). 52 000 მაყურებელი

**1:0 ბალაკი (4), 2:0 ნოივილი (11), 3:0 რემერი (15), 4:0 ბალაკი (51), 4:1 შევჩენკო (90)**

კანი, რემერი (ფ. ბაუმანი 87), ციგე, ლინკე, იენს ნოვოტნი, რამელო, ბ. შნაიდერი, ჰამანი, ბალაკი, იანკერი (ბირჰოფი 58), ნოივილი (რიკენი 70)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

ლევიცკი, ლუჟნი, ნესმაჩნი (შიშჩენკო 55), გოლოვკო, ვაშჩუკი, პარფიონოვი, ტიმოშჩუკი (გუსინი 24), სკრიპნიკი, ზუბოვი, შევჩენკო, ვორობეი (რებროვი 70)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი



ვალერი ლობანოვსკი დორტმუნდში შერცხვა



ოლივერ ნოივილი (მარცხნივ) ბურთს საჭირო ადგილას დახვდა



რუდი ფიოლერმა, როგორც იქნა, გაიცინა

# გერმანია დაფრინავს... ლუდი, ლუდი, ია, ია!

**ბრძენთ უთქვამთ,** ფეხბურთის ხიბლი მის გამოუცნობაშიაო, მაგრამ გერმანია თუ უკრაინას ასე დაამცირებდა, მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო. ოთხშაბათ საღამოს ბუნდესნაკრებმა ისეთი შემტევი ფეხბურთი ითამაშა, მისი დიდების დროებაშიც რომ იშვიათად გვახსოვს. უკრაინამ კი, მოგვიტევეთ და, საქართველოს ნაკრების ცუდი ვარიანტი უფრო მოგვაგონა, ვიდრე პლეი ოფებში გამობრძმედილი და სამსოფლიოჩემპიონატოდ მომართული გუნდი. ვინ იცის, სწრაფი „პირველი გოლის ფაქტორმა" იმოქმედა თუ მწვრთნელ-ფეხბურთელთა შეცდომებმა, მაგრამ ნაღდია, უკრაინა ის გუნდი არ არის გერმანიას ტოლ-სწორობაში რომ გაეჯიბროს.

მასპინძლებმა სამი გოლი მაღალი ჩაწოდებების კვალად, თავით გაიტანეს. ცხადია, ამ მოსალოდნელი „საჰაერო ტერორის" შესახებ ლობანოვსკიმ ყველაზე უკეთ უწყოდა და შეგირდებსაც საფუძვლიანად დამოძღვრავდა, მაგრამ... ეგებ ეს ის შემთხვევაც იყო, როცა ერთს ყველაფერი გამოსდის, ხოლო მეორეს არაფერი, თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს, გერმანიამ ინგლისის ნასროლი ტალახი ნაწილობრივ მოიწმინდა და კორეა-იაპონიის კარი წიხლითა და „არ მელოდით, თქვენის" ძახილით შეაღო...

რუდი ფიოლერი ბოლო წუთამდე არ ჩქარობდა სასტარტო შემადგენლობის გაცხადებას, მაგრამ ნათელი იყო, კიევურ მატჩში არცთუ შთამბეჭდავად გარჯილ ციკლერსა და ასამოას თავდასხმაში მომჯობინებული იანკერითა და ნოივილით შეცვლიდა. ასეც მოხდა. ლობანოვსკიმ კი აშკარად ფორმიდან ამოვარდნილი რებროვი ბოლო წუთებამდე სკამზე დასვა, მას სპარტაკელი პარფიონოვი ამჯობინა, ხოლო მარცხენა ნახევარმცველად 33 წლის ვერდერელი სკრიპნიკი გაამწესა. სწორედ მარცხენა ფრთის უსუსურობამ იმსხვერპლა უკრაინელები. სკრიპნიკს თავი დავანებოთ და ნესმაჩნიმ, პირველი მატჩისა არ იყოს, ძალიან სუსტად ითამაშა. გერმანელებს კი ამ ფრთაზე ჰერტელი რემერი და მფრინავი ლევერკუზენელი შნაიდერი ჰყავდათ, რომლებმაც დიდწილად გადაწყვიტეს კიდეც თამაშის ბედი. განსაკუთრებით ბერნდ შნაიდერს გამოვარჩევდით. ეს საშუალო ტანის ტექნიკური და მკვირცხლი ნახევარმცველი, ხვალ 28 წლის რომ ხდება, აქამდე ბუნდესნაკრების სათადარიგო მოთამაშედაც ძნელად ჩაითვლებოდა, მაგრამ პლეი ოფის მერე ლამის ნაციის გმირი გახდა. საინტერესოა, რომ მთელი თხუთმეტი წელი ეს ბიჭი ჩვენთვის კარგად ნაცნობ „კარლ ცაისში" ვაჟკაცდებოდა, 1998-ში „აინტრახტში" გადავიდა, ხოლო შარშანწინ „ლევერკუზენის" ფეხბურთელი გახდა. სხვათა შორის, ოთხშაბათს გერმანიის ნაკრებში ყველაზე მეტი, ხუთი წარმომადგენელი სწორედ „ბაიერს" ჰყავდა, რაც ტრიბუნაზე მყოფ მათ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს, ალბათ განსაკუთრებული სიამაყის საბაბს აძლევდა. „ვესტფალენშტადიონის" სავარძლებზე მოკალათებულიყო მთელი ბუნდესლიგის სპეციალისტობა და დიდვაჭრობა, ფრაიბურგელი ფოლკერ ფინკეც კი იქ იყო...

დაწყებიდან სულ ოთხი წუთი გასულიყო გერმანელები რომ დაწინაურდნენ. თავისი საჯარიმოს სიახლოვეს ნესმაჩნიმ ვითარების განმუხტვა სცადა, მაგრამ ბურთი შნაიდერს ჩააბარა, რომელმაც ფრთაზე „თავისებურად" გაინავარდა და საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ყველას ბალაკმა დაასწრო და ათი მეტრიდან თავურით პირველი შეაგდო. უკრაინელები გონს ვერ მოსულიყვნენ, რომ მეორე გოლიც გაუშვეს. შნაიდერის კუთხურის დაბოლოებას რემერი ცდილობდა, ლევიცკიმ კი მოიგერია, მაგრამ იქვე მყოფმა ნოივილმა ფეხით იმარჯვა და 2:0.

მალევე ლევიცკიმ რაღაც გაუგებარი მოიმოქმედა. მორიგი კუთხურისას ის თითქოს კარიდან გამოვიდა, მაგრამ ნახევარგზაზე გაჩერდა და ყველაზე მაღლა ამხტარმა რემერმა მესამე გაიტანა. 15 წუთში სამი გოლი უკვე ნამეტანი იყო... ქომაგებმა ფიოლერის საღიდებელი დააგუგუნეს: რუდი, რუდიო და, ამ სულისკვეთებას უმალ გერმანელი ტელეკომენტატორიც შეუერთდა: „აჰა, ლუდი, ლუდი, ია, ია!" — ასეთი გახლდათ აღფრთოვანებული ZDF-ელის კომენტარი. წარმოდგენა ამით არ დამთავრებულა. ეს მატჩი მასპინძლებისთვის „სიკვდილ-სიცოცხლის" საქმე იყო და მეორე ტაიმიც ჟინიანად დაიწყეს. მოწინააღმდეგის საჯარიმოსთანაც კი პრესინგს არ თაკილობდნენ და ამისთვის მეოთხე გოლით დასაჩუქრდნენ. ნოივილმა მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში ჩააწოდა და რატომღაც დაუცველმა ბალაკმა შეხვედრაში მეორე, პლეი ოფში კი თავისი მესამე ბურთი შეაგდო. მერე „კიკერმა" მას უმაღლესი შეფასება — ერთიანი დაუწერა და მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარა.

უკრაინამ კი რა? რა და, მთელი 90 წუთის მანძილზე მხოლოდ ორი ეპიზოდით დაგვამახსოვრა თავი. ერთხელ შევჩენკომ აალელვა მასპინძლები, მეორედ გუსინმა. ალბათ საინტერესოა, რომ ეს მომენტი შევჩენკოს 26-ე წუთზე შექმნა, მანამდე სტუმრები საჯარიმოს ხეირინადაც არ მიახლოვებიან, მსაჯის წამატებულ წუთზე გატანილი ერთი საპასუხო კი, აბა, ვიღას აინტერესებდა, თუმც შევჩენკოსთვის ეს შესარჩევ ციკლში გატანილი მეათე გოლი გახლდათ, რომელმაც „მილანის" შემტევი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად აქცია.

თამაშს ფიოლერის იტალიელი ცოლი საბრინაც ესწრებოდა და, თურმე ნუ იტყვით, რამდენჯერაც ის სტადიონზე მისულა, რუდის ნაკრებს არასოდეს წაუგია. აი, მამამისის დაპატიჟება კი ბუნდესმწვრთნელს ველარ გაუბედავს. ან რას გაბედავდა, მოხუც კურტს ინგლისთან 1:5-ის მერე, არც მეტი, არც ნაკლები, ინფარქტი დამართნია...

ბოლოს ერთი კითხვაც: ღირსია თუ არა გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშისა? ცხადია, ღირსია. თუ სენეგალი და ჩინეთი მარაქაში გაერივნენ, გერმანიამ რაღა დააშავა? მაგრამ გერმანია გერმანიაა, მათგან მოთხოვნაც მეტია და ამიტომ წელიწადში მხოლოდ 90 წუთს არ უნდა თამაშობდეს დიდებულად.

**სოლომონ გულისაშვილი**

## მატჩის შემდეგ

***რუდი ფიოლერი, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*** „რვა-ცხრადღიანი დაძაბულობის მერე წარმოუდგენელი სიმშვიდე ვიგრძენი. ძალიან რთული დღეები იყო. ხშირად მაკრიტიკებდნენ და ამ კრიტიკიდან ბევრი სასარგებლო შევითვისე. მიხარია, რომ ჩვენმა ქომაგებმა დაინახეს როგორ ვიბრძოდით პირველი წუთიდანვე".

***ფრანც ბეკენბაუერი, გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:*** „მატჩის ბედი მეთხუთმეტე წუთისთვის გადაწყდა. არადა, ვერაფრით ვეგუებოდი იმ აზრს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი უჩვენოდ ჩაივლიდა. ეროვნულმა გუნდმა კარგი ფეხბურთი ითამაშა. ახლა, საბედნიეროდ, ფიოლერის ნაკრებში ყოფნა-არყოფნის პრობლემა წარსულს ჩაბარდა".

***კარლ-ჰაინც რუმენიგე, „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი:*** „ბუნდესნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა და მხოლოდ ქების ღირსია. მაგრამ ახლა ყოველივე ვარდისფრად არ უნდა მოგვეჩვენოს. საფრანგეთისა და არგენტინასთან გასათანაბრებლად კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ და კიდევ ვფიქრობ, ოთხშაბათს „ვესტფალენშტადიონზე" ნამყოფ ყველა ადამიანს სურს, რომ ფიოლერმა მუშაობა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც გააგრძელოს".

***ოლივერ კანი:*** „ცუდი დროება წარსულს ჩაბარდა. ახლა მგონია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაც კი ძალგვიძს. ვფიქრობ, ფავორიტები, ფრანგები და არგენტინელები ჩვენზე მაღალი კლასისანი არ არიან. თან თვითრწმენაც ხომ დავიბრუნეთ"...

***კარსტენ იანკერი:*** „გზად სტადიონისკენ მე და კანი შევთანხმდით, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი დღევანდელ მატჩთან ახლოსაც ვერ მივა. ამჯერად სულ სხვა პასუხისმგებლობასა და ზეწოლას ვგრძნობდით. ახლა ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონობაა"...

***მიხაელ ბალაკი:*** „პირველი წუთიდანვე გასამარჯვებლად განვეწყვეთ და ძალიან გვიხარია, რომ საწადელი ავისრულეთ. გოლებს კი ჩემს სამი თვის ლუისს ვუძღვნი".

***კრისტიან ციგე:*** „ბოლო დღეებში გუნდი კიდევ უფრო შეიკრა. ერთად საკმაო ხანს დავყავით და ამან სასიკეთოდ იმოქმედა. მერწმუნეთ, მინდორსგარეთა ურთიერთობა ფრიად მნიშვნელოვანია".

***ლეონიდ ბურიაკი, უკრაინის ნაკრების მწვრთნელი:*** „დორტმუნდში სულ სხვა გერმანია დაგვიხვდა. მათ სიმაღლეშიც გვაჯობეს და გამარჯვების წყურვილშიც. საწყენია, რომ თამაშის ბედი პირველივე თხუთმეტ წუთში გადაწყდა. მწვრთნელების დარჩენა-არდარჩენის საკითხს კი ფეხბურთის ფედერაცია წყვეტს. სხვათა შორის, მწვრთნელთა დღევანდელ შემადგენლობას ნაკრებთან კონტრაქტი უკვე დაგვიმთავრდა".

***გრიგორი სურკისი, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:*** „ბუნებრივია, ყველას გული გვტკივა. პრეტენზიები ნებისმიერთან შეიძლება გვქონდეს, მაგრამ ახლა გვარებს არ დავასახელებ. უახლოეს დღეებში საგანგებლოდ შევიკრიბებით, ვიმსჯელებთ და დასკვნებსაც გამოვიტანთ. მწვრთნელთა გუნდში აუცილებლად მოხდება ცვლილებები. 15 დეკემბერს უეფ-ის კონგრესი გაიმართება და ნაკრების ახალი დამრიგებლის სახელსაც მაშინ გამოვაცხადებთ".

***სერგეი შიშჩენკო:*** „ახლა ძნელი სათქმელია რატომ ითამაშეს გერმანელებმა კარგად, ჩვენ კი ცუდად. თუმცა, ერთში დარწმუნებულები ვართ, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან წავაგეთ".

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ევროპა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩები

## ჩეხეთი 0:1 ბელგია (0:1)

პრაღა. 14 ნოემბერი. „ლეტნა". მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი). 18 996 მაყურებელი

გაძევება: ნედველი (88), ბაროში (88)

**0:1 ვილმოტსი (86პ)**

სრნიჩეკი, იოჰანა (იაროშიკი 58), ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, იანკულოვსკი, პობორსკი (სიონკო 46), ჰაშეკი (შმიცერი 67), როსიცკი, ნედვედი, ბაროში, ლოკვენცი
მწვრთნელი: იოჟეფ ხოვანეცი

დე ფლიგერი, დეფლანდრე, კლემენტი, დე ბუკი, ვან კერკჰოვენი, ვერმანტი (ვანდერეგე 90), სიმონსი, გოორი, ვალემი (ბოფინი 84), ვერჰეინი, სონკი (ვილმოტსი 63)
მწვრთნელი: რობერ ვასეჟი

# ბელგიის ნაკრები სასწრაფოა: მწვრთნელი ინფარქტს გადაარჩინა

## როგორ ავაცილოთ ცარიელ კარს რვა მეტრით

**შეცვლაზე** შესული მარკ ვილმოტსის გვიანმა გოლმა ბელგიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა, თუმცა „წითელი ეშმაკები" ამ გოლის გარეშეც წავიდოდნენ კორეა-იაპონიაში. მოგეხსენებათ, პირველ მატჩში შინ 1:0 მოგების შემდეგ ბელგიელებს პრაღაში ფრეც ხელს აძლევდათ. ამრიგად, ბელგია, რომელიც ჩეხებთან პლეი ოფში ფავორიტად სულაც არ ითვლებოდა, ზედიზედ მეექვსედ მოხვდა მუნდიალზე.

სტუმრები ფრთხილობდნენ, ფაქტობრივად, ცენტრს იქით არც გადასულან, გოლის გატანაზე მეტად არგაშვებას ესწრაფოდნენ, მაგრამ მეორე მხრივ, ამგვარი ტაქტიკით ჩეხებს მუდმივად შეტევაში ყოფნის საშუალება მისცეს. მასპინძლებიც, ცხადია, გვარიანად დაგეშილები იყვნენ — ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიის დაშლის მერე არ უთამაშიათ.

„ჩვენ ვიცოდით, რაზეც მივდიოდით — თქვა ნამატჩევს სტუმართა თავკაცმა რობერ ვასეჟმა — ვიცოდით, რომ უზარმაზარი ზეწოლისთვის უნდა გაგვეძლო, მაგრამ ფსონიც განუზომლად დიდი იყო. სიმართლე გითხრათ, თავიდან, ასე ოცდაათი წუთი, ეკლებზე ვიჯექი. ჩვენი ბიჭები მარტივ სიტუაციებში კარგავდნენ ბურთს და მეგონა, გული გამისკდებოდა. საბედნიეროდ, დამშვიდება და თამაშის დალაგება შევძელით".

დიდი უპირატესობის მიუხედავად, ჩეხებმა რამდენიმე ბრწყინვალე მომენტი გააფუჭეს და ვერ შეძლეს გოლის გატანა. მეტი რა ვთქვათ — მატჩის დაწყებიდან ხუთ წუთში კარელ პობორსკიმ, მეტოქის საჯარიმოში მყოფმა, ცარიელ კარში დაარტყა და... რვა მეტრით ააცილა.

თუნდაც ერთი ბურთის გატანის აუცილებლობას, როცა ამის უამრავი შანსი გაქვს და ვერ იყენებ, ნერვიულობა მოსდევს, ნერვიულობას კი — უხეშობა. აი, შედეგიც: პაველ ნედვედმა, მილან ბაროშმა, პეტრ იოჰანამ და ტომაშ როსიცკიმ ყვითელი ბარათები მიიღეს, ხოლო ვილმოტსის გოლის მერე ბაროში და ნედვედი ისე გაცოფდნენ, მსაჯმა ანდერს ფრისკმა ყვითლები წითელი ბარათებით შეუცვალა. ისე, ბელგიელებიც გვარიანად სცოდავდნენ — ფილიპ კლემენტი, ერიკ დეფლანდრე და გერტ ვერჰეინი გაყვითლდნენ.

ჩეხები კი უტევდნენ, თუმც მათ იერიშებს რაღაც აკლდა. ალბათ, ტრავმირებულთა სიმრავლემ და დისკვალიფიცირებულ ტომაშ რეპკას არყოფნამაც იმოქმედა (პლეი ოფის პირველ მატჩში გააძევეს). მატჩამდე ორიოდე საათით ადრე კი ჩეხთა ბანაკიდან შემაშფოთებელი ცნობაც მოვიდა — რამდენიმე ფეხბურთელს ვირუსი შეჰყრია.

მარკ ვილმოტსი კი, რომელმაც პირველი მატჩი გამოტოვა, პრაღის „ლეტნას" გაზონზე 63-ე წუთზე გავიდა და თავისიანთა თამაში გაამწვავა. არა, ჩეხები კვლავაც უკანმოუხედავად უტევდნენ, მაგრამ ვილმოტსის შესვლით ბელგიელებმა გაიხსენეს, რომ არსებობს ასეთი ტაქტიკა — კონტრშეტევა.

86-ე წუთზე კი დაინიშნა პენალტი. მარეკ იანკულოვსკიმ გერტ ვერჰეინი წააქცია საჯარიმოში და ვილმოტსმა, როგორც ნაღდმა კაპიტანმა, შესრულება საკუთარ თავზე აიღო. ზედა კუთხეში დაარტყა. პაველ სრნიჩეკი ამ ბურთის ამღები არ იყო.

თითქმის გოლისთანავე მოედნიდან ნედველი და ბაროში მიაბრძანეს, ჩეხები ცხრანი დარჩნენ, თუმც რა მნიშვნელობა ჰქონდა — დარჩენილ ორ-სამ წუთში, თხუთმეტიც რომ ყოფილიყვნენ, სამ ბურთს ველარ შეაგდებდნენ, ნაკლები კი არ ჰყოფნიდათ.

ჩვეულებრივი ამბავი — ჩეხთა მწვრთნელი იოჟეფ ხოვანეცი უიღბლობაზე ლაპარაკობს: „დღეს მეტოქეზე ბევრად უკეთესად ვითამაშეთ. რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ..."

ჩეხურ პრესაში უკვე გაისმა ხოვანეცის გადაყენების მოთხოვნა, მწვრთნელი კი პასუხობს: „ეს საკითხი ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტია, პრესა რა შუაშია?"

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

პაველ ნედვედმა და პეტრ იოჰანამ (№2) არც თავი დაზოგეს, ბელგიელი ბარტ გოორიც არ დაინდეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ

## თურქეთი 5:0 ავსტრია (1:0)

სტამბოლი. 14 ნოემბერი. „ალი სამი იენი". მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია). 30 000 მაყურებელი

**1:0 ბაშთურქი (21), 2:0 ჰაქან შუქური (30), 3:0 ოკანი (44), 4:0, 5:0 არიფი (68, 83)**

რუშთუ, დავალა უმითი, აბდულა, უმით ოზატი, ალფაი, ემრე ასიქი, ოკანი (სერგენი 62), თუგაი, ბაშთურქი (არიფი 41), ჰაქან შუქური, ჰასან შაში
მწვრთნელი: შენოლ გიუნეში

ვოლფარტი, პრილასნიგი (კიცბიხლერი 46), ვუკოვიჩი, ვინკლჰოფერი, ფლოგელი, ლექსა (შოპი 54), შტრაფნერი, ჰიდენი, ვასტიჩი (ვაისენბერგერი 74), ჰერცოგი, ჰაასი
მწვრთნელი: ოტო ბარიჩი

# შენ ტუჩ-სასტვენს ვენაცვალე, კოლინა!



REUTERS

ოკან ბურუქმა ილდირეი ბაშთურქის და ჰაქან შუქურის დაწყებული საქმე გააგრძელა

**„თურქი ხალხი** იმსახურებს ამ უდიდეს ზეიმს. აღფრთოვანებული ვარ. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე მივემგზავრებით" — განაცხადა ტრიუმფატორმა შენოლ გიუნეშმა მატჩის შემდეგ.

ავსტრიელი ანდრეას ჰერცოგი თამაშის წინ ამბობდა, ზედმეტი თავდაჯერებულობა თურქებს დაღუპავს, ნერვები უღალატებთო. თან იქადნებოდა, ჩვენ შევეცდებით, სენსაცია მოვახდინოთო. არც შემცდარა, 5:0 ნამდვილად სენსაციური მარცხია.

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შესვენების შემდეგ ჩვენი მეზობლები კვლავ გაემგზავრებიან მსოფლიოს მთავარ საფეხბურთო ფორუმზე. ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ თურქული გუნდები ევროსარბიელზე სამარცხვინო ანგარიშებით აგებდნენ, ხოლო ნაკრებს სერიოზულ ძალად არავინ მიიჩნევდა. შემდეგ მოვიდნენ პროფესიონალი, ფეხბურთზე თავგადადებული ხალხი და აი, შედეგიც: 11 კაცი მინდორზე, 30 ათასი ტრიბუნებზე, დაახლოებით 60 მილიონი კი ტელევიზორებთან და ავსტრია განადგურებულია.

უსაფრთხოებას ორი ათასი პოლიციელი იცავდა, ბილეთები შავ ბაზარზე 5-6 ჯერ გაძვირდა და თქვენ წარმოიდგინეთ, შეხვედრის დაწყებამდე ხუთი საათით ადრე სტადიონი უკვე სავსე იყო.

ასე ნაადრევად შეკრებილ გულშემატკივრებს ერთგულება მატჩის დაწყებიდან 21 წუთში დაუფასდათ. ლევერკუზენელმა ილდირეი ბაშთურქმა თავისი პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა და მერე რაოდენ საჭირო. დაახლოებით კიდევ ერთი ამდენი დრო დასჭირდათ ჰაქან შუქურს და ოკანს იმისთვის, რომ არც მათ და არც მეტოქეს, მეორე ტაიმში აღარ ენერვიულათ. ცხადია, შესვენებაზე, თურქი გულშემატკივრები კორეა-იაპონიაში მოსახვედრად საჭირო ფულის შეგროვებაზე ფიქრობდნენ, რადგან გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა.

ამ დღესასწაულის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედად ტრიბუნებზე შეკრებილმა მაყურებლებმა იტალიელი კაცი მიიჩნიეს. დიახ, ეს გახლავთ მატჩის არბიტრი, სახელმოხვეჭილი პიერლუიჯი კოლინა. რატომ? არა იმიტომ, რომ იგი მასპინძლებს ეხმარებოდა, სულ სხვა მიზეზის გამო. თურმე იტალიელს აქამდე რვაჯერ განუსჯია მატჩები თურქული კლუბებისა და ნაკრების მონაწილეობით, ჰოდა, რვიდან ექვსჯერ თურქებს უმარჯვიათ, ორი მატჩი კი ფრედ დასრულებულა. როდესაც თავპრიალა მსაჯი მინდორზე გამოჩნდა, გულშემატკივრებმა დაახლოებით ასე შეუძახეს: „დიდხანს იცოცხლეთ შენ და შენმა სასტვენმა, აბა, შენ იცი". კოლინამ არც ამჯერად დაალალატა მასპინძლები და უმნიშვნელოვანესი გამარჯვების თანამონაწილე შეიქნა.

მატჩის შემდეგ შენოლ გიუნეშმა ყველა ფეხბურთელი სათითაოდ გადაკოცნა და... გადადგომას ვაპირებო, განაცხადა. გაუკვირდა ყველას, ამ სიკეთის ჟამს სად მიდისო. შენოლ ხოჯამ ის ავადმოსაგონარი შეხვედრა გაიხსენა, როცა ჯგუფურ ეტაპზე თურქეთმა შვედებთან თითქმის მოგებული მატჩი ბოლო წუთებზე დათმეს. მაშინ რომ განერვიულეთ, სწორედ მაგის გამო უნდა გადავდგეო. ვინძლო, აღმოსავლური ეშმაკობა იყოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## ევროპა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

## რუმინეთი 1:1 სლოვენია (1:2)

ბუქარესტი. 14 ნოემბერი. „სტიაუა". მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია). 24 500 მაყურებელი

**0:1 რუდონია (56). 1:1 კონტრა (65)**

ლობონტი, კონტრა, მიუ (მიჰალჩია 78), გიოანე (განია 58), კივუ, პოპესკუ, საბეუ, დ. მუნტიანუ, მ. ნიკულაე, მუტუ (პანჩუ 58), ა. ილიე
მწვრთნელი: გეორგე ჰაჯი

სიმეუნოვიჩი, მილინოვიჩი, ვუგდალიჩი, გალიჩი, ნოვაკი, ა. ჩეჰი, ოსტერცი (პავლოვიჩი 89), პაველინი, რუდონია, გაიზერი, აჩიმოვიჩი (სანკოვიჩი 62)
მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი



რუმინელთა კაპიტანი გეორგე პოპესკუ და მირან პავლინი

# მაინც ჩვენ ვჯობივართ

**სლოვენია** ისტორიაში პირველად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ყოფილი სოციალისტური იუგოსლავიის ყოფილმა ნაწილმა, ყოფილი სოციალისტური რუმინეთის დედაქალაქში 1:1 ითამაშა და, ვინაიდან, პირველ შეხვედრაში 2:1 ჰქონდა მოგებული, კორეა-იაპონიის საგზური მოიპოვა. ხოლო რუმინელებს 1986 წლის შემდეგ პირველად მოუწევთ მსოფლიოს პირველობის ტელევიზიით ცქერა.

„ბედნიერი ვარ — ამბობდა ბუქარესტის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში სლოვენთა მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი — პირველი 30 წუთის განმავლობაში რუმინელებს გოლის გატანის საშუალება არ ჰქონდათ, არადა, რომ გაეტანათ, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა".

მასპინძლებს თავდასხმაში სამი კაცი ჰყავდათ გამწესებული, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში ბევრს ვერაფერს ახერხებდნენ და ამიტომ შორიდან დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ჰოდა, ფონს გასვლა კი არა, 56-ე წუთზე გოლი გაუშვეს — დორინელ მუნტიანუსა და გეორგე პოპესკუს უხეში შეცდომის წყალობით მლადენ რუდონია, რომელიც ნაკრებში 53-ე თამაშს ატარებდა, საგოლე პოზიციაზე დარჩა და... ამ 53 შეხვედრაში თავისი პირველი გოლი შეაგდო.

შეშფოთებულმა რუმინელებმა თავიანთ სამ თავდამსხმელს მეოთხე დაამატეს — იონელ განია, თუმცა გოლი მცველმა, კოზმინ კონტრამ გაიტანა 65-ე წუთზე. მან 25 მეტრიდან დაარტყა და გულშემატკივარს იმედი ჩაუსახა.

ბუნებრივია, ამის შემდეგ, მასპინძლები გაათკეცებულ ზეწოლას მოახდენდნენ. მსაჯის წამატებული დროის მეოთხე წუთზე პენალტიც კი მოითხოვეს, მაგრამ უშედეგოდ.

მატჩის შემდეგ განიამ თქვა: „ეს ნამდვილი კატასტროფაა. ჩვენ სანაკრებო დონეზე ელიტაში რამდენიმე წლის განმავლობაში ვეღარ გავერევით".

„ჩვენ უფრო ჭკვიანურად უნდა გვეთამაშა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში — განაცხადა რუმინელთა წარუმატებელმა მწვრთნელმა, უახლოეს წარსულში დიდმა ფეხბურთელმა გეორგე ჰაჯიმ — სლოვენია ჩვენზე უკეთესი გუნდი არ არის, უბრალოდ ის თავს იცავდა".

თავს იცავდა თუ რა იყო, ფაქტია, რუმინელებმა მეტოქის კართან განსაკუთრებული ვერაფერი შექმნეს, თუმცა, აი, რას ამბობს დორინელ მუნტიანუ, რომელმაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უხეში შეცდომით სლოვენიელებს გოლის გატანაში შეუწყო ხელი:

„უკვე მერამდენედ დავეჯახეთ ერთსა და იმავე ფაქტს: თუ გოლს არ შეაგდებ, ისე კარგ თამაშს აზრი არ აქვს. მე თუ მკითხავთ, ორივე შეხვედრაში ჩვენ უკეთესად ვთამაშობდით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრასაც ვიმსახურებდით, მაგრამ ბედმა მეტოქეს გაუღიმა".

ცნობისთვის: სლოვენიის მოსახლეობა ორი მილიონიც არ არის, ხოლო რეგისტრირებულ ფეხბურთელთა რაოდენობა 25 ათასია. ქვეყანაში სულ 225 საფეხბურთო კლუბია, თუმცა კატანეცი ბრძანებს, რომ რუმინეთთან თამაშმა დაამტკიცა, რომ ისინი მსოფლიო ელიტაში ღირსეულად იკავებენ ადგილს:

„ერთხელაც დავამტკიცეთ, რომ ევრო 2000-ზე შემთხვევით არ მოვხვედრილვართ".

ჰაჯი კი თავს ასე იმშვიდებს:

„გამარჯვება ჩვენს ხელთ იყო, თუმცა მეტოქემ საგანგებო აგრესიულობა შეგვაგება, რომელსაც ვერაფერი დავუპირისპირეთ. რა გაეწყობა, ცხოვრება გრძელდება და ჩვენც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე უნდა დავიწყოთ ფიქრი".

**ბაჩუნა ძიძია**

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## ევროპა-აზია. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

## ირანი 1:0 ირლანდია (0:2)

თეირანი. 15 ნოემბერი. „აზადი". მსაჯი: უილიამ მატუშ ვეგა (კოსტა რიკა). 100 000 მაყურებელი

**1:0 გოლმოჰამადი (90)**

მირზაფური, მაჰდავიკია, მინავანდ ჩალი, პეიროვანი, ბაგერი, ქავიანფური, ქარიმი, დაეი, ნიქბახთ ვაჰედი, გოლმოჰამადი, რეზაეი

გივენი, ფინანი, ჰარტი, ბრინი, სტონტონი, კინსელა, მაკატირი, ჰოლანდი, კონოლი, რობი კინი (კ. მორისონი 76), კილბეინი (გ. კელი 82)

# წმინდა პატრიკის დღე ირანში
## ბლაჟევიჩი არ ჩამოახრჩვეს. გადააყენეს

**როცა** ბაჰრეინს მოსაგებს ვერ მოუგებ, ვეღარც ალაჰი გიშველის და ვერც სტადიონზე მისული 100 ათასი გულშემატკივარი. ირანელებმა გზა თვითონ გაირთულეს, როცა შეეძლოთ, პირდაპირ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრილიყვნენ. ირლანდიელებმა კი დუბლინშიც და თეირანშიც მაქსიმალურად მობილიზებული, შეკრული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. შესაბამისად, ისინი უფრო იმსახურებდნენ კორეა-იაპონიის საგზურს და მიიღეს კიდეც.

მატჩის წინ ირანელ გულშემატკივრებს დიდად არ ეიმედებოდათ თავიანთი გუნდისა, თუმცა შანსებზე მაინც საუბრობდნენ. შეხვედრის დაწყებიდან თხუთმეტიოდე წუთი იყო გასული და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სტუმრებს უფრო მეტად სჭირდებოდათ გამარჯვება, ვიდრე მასპინძლებს. მართალია, ირლანდიელებს როი კინი აკლდათ, მაგრამ თავდამსხმელი რობი კინი თანაგუნდელებთან ერთად თამამად უტევდა მეტოქის კარს. ირანელები თავისი ლიდერის, ალი დაეის იმედზე იყვნენ და თითქმის ყველა ბურთს მისკენ გზავნიდნენ. მას მუდმივად ორ მცველთან ჭიდილში უხდებოდა ბურთის მიღება, რაც იშვიათად გამოსდიოდა. პირველ ნახევარში ერთადერთი სახიფათო მომენტიც დაეიმ შექმნა, როცა არც თუ ისე მახვილი კუთხიდან უხეიროდ დაარტყა.

ვერ ვიტყვი, რომ მეორე ტაიმში მასპინძლებმა ტემპს უმატეს და თავბრუ დაახვიეს ირლანდიელებს, მაგრამ სიმწვავემ შეი გივენის კართან იმატა. იყო სამწუთიანი მონაკვეთი, როცა მეტოქეებმა საგოლე მომენტები გაცვალეს. ჯერ გივენმა მოუხსნა თავიდან ბურთი ალი დაეის და ალი ქარიმმა ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაჰკრა. თავის მხრივ დევიდ კონოლისაც შეეძლო მასპინძელთა კარის დალაშქვრა და საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილს მცველთან ჯაჯგურში დარტყმა აღარ გამოუვიდა. მერე გოლის გატანის რეალური შანსი ისევ ალი დაეის მიეცა. ბაგერის ძლიერად დარტყმული შეი გივენმა თავის წინ მოიგერია, მაგრამ დაეიმ ვეღარ მოუსწრო, რომ დაემატებინა. ირანელთა შეტევები ერთფეროვანი გახდა და ფეხბურთელებიც ერთმანეთს ვეღარ უგებდნენ, ალბათ უფრო ნერვიული ფონის გამო. მარჯვენა ფლანგზე მეჰდი მაჰდავიკიამ რამდენჯერმე გაილაღა, მაგრამ მის ჩაწოდებულებს არავინ გამოეხმაურა. დრო იწურებოდა, სტადიონზე კი ნაირ-ნაირი საგნები ცვიოდა. სადღაც კვამლიც დადგა, მაგრამ ირლანდიელები ირლანდიურად იდგნენ და მასპინძელთა ქაოსურ შეტევებს იგერიებდნენ. უკვე მსაჯის მიერ დამატებულ დროში ირანელმა გოლმოჰამადმა ამ მატჩში ერთადერთი გოლის გატანა მაინც მოახერხა. ეს გამარჯვება ირანელთა ხორვატ მწვრთნელს, მიროსლავ ბლაჟევიჩს ათქმევინებს, მოვიგეთ, მაგრამ საკმარისი არ იყოო. აი, მატჩის შემდეგ დალვრილმა გოლის ავტორის ცრემლებმა კი ალბათ მთელი ირანის სათქმელი უსიტყვოდ გამოხატა.



ირანი ცრემლად დაიღვარა, ირლანდია ლუდად

ბლაჟევიჩს დავუბრუნდეთ. ხორვატი მწვრთნელი გუშინვე ნამატჩევს თანამდებობიდან გადადგა.

**მაია ხუციშვილი**



რობი კინმა მინავანდ ჩალი მოიტოვა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

### გერმანია. ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-დორტმუნდი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.30 | 003 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-ბაიერნი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-შალკე | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.30 | 006 | კოლნი-ლევერკუზენი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 18.30 | 007 | ლაუტერნი-ზტ. პაული | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 008 | ლაუტერნი-ზტ. პაული 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 20.30 | 009 | ნიურნბერგი-ჰანზა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 010 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 011 | ალემანია-ფიურტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 012 | ჰანოვერი-ზაარბრიუკენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 013 | ჰანოვერი-ზაარბრიუკენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 22.00 | 014 | კარლსრუე-უნიონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-შვაინფურტი | 2,1 | 3,3 | 3,0 |
| 18.00 | 016 | ბოხუმი-არმინია | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 17.00 | 017 | ბაბელსბერგი-როიტლინგენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 018 | უნტერჰახინგი-დუისბურგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 019 | ალენი-ვალდჰოფი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 23.15 | 020 | მაინცი-აინტრახტი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XVII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 021 | ურდინგენი-ქემნიცი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.00 | 022 | მაგდებურგი-პადერბორნი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 024 | ესენი-მიუნსტერი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 025 | ესენი-მიუნსტერი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 17.00 | 026 | აუე-დიუსელდორფი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 17.00 | 027 | ლიუბეკი-დრეზდენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 028 | ლიუბეკი-დრეზდენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 17.00 | 029 | ოსნაბრიუკი-ფორტუნა | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 17.00 | 030 | ლევერკუზენი (მ.)-კილი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.00 | 031 | ფერლი-ვერდერი (მ.) | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 21.00 | 023 | ვატენშაიდი-ბრაუნშვაიგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XVIII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 ნოემბერი | | | |
| 22.00 | 032 | კიკერსი-ფიუხენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 17.00 | 033 | ფრანკფურტი-დარმშტადტი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 17.00 | 034 | ელვერსბერგი-მანჰაიმი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.30 | 035 | რეგენსბურგი-ბურგჰაუზენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 17.30 | 036 | ფულდა-შტუტგარტი (მ.) | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 18.00 | 037 | ჰოფენჰაიმი-ლაუტერნი (მ.) | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 17.30 | 038 | ზიგენი-ანსბახი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 18.00 | 039 | ბაიერნი (მ.)-ტრირი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 040 | ოფენბახი-აალენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 16.00 | 041 | ბლეკბერნი-ლივერპული | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 19.00 | 042 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 043 | დერბი-საუთჰემპტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 044 | ფულჰემი-ნიუკასლი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 045 | მანჩესტერი-ლესტერი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 046 | მანჩესტერი-ლესტერი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 047 | ტოტენჰემი-არსენალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 048 | ევერტონი-ჩელსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 049 | სანდერლენდი-ლიდსი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 20.00 | 050 | იფსვიჩი-ბოლტონი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| | | 19 ნოემბერი | | | |
| 24.00 | 051 | ჩარლტონი-ვესტ ჰემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XX ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 16.30 | 054 | პორტსმუთი-სიტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 055 | ბარნსლი-უიმბლდონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 056 | ბრედფორდი-უოლსოლი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 057 | ქოვენტრი-ბარნლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 058 | კრისტალ პალასი-ქრიუ | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 059 | გრიმსბი-მილუოლი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 060 | ნოტინგემი-პრესტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 061 | როტერჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 062 | შეფილდი-ბირმინგემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 18.15 | 063 | ვულვერჰემპტონი-უენსდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.15 | 064 | ჯილინგემი-უოტფორდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XIV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 16 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 066 | მონაკო-მარსელი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 20.15 | 067 | რენი-ნანტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.00 | 068 | ბორდო-ტრუა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.00 | 069 | ლანსი-სედანი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 070 | ლანსი-სედანი 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 071 | ლორიანი-ლიონი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.00 | 072 | მონპელიე-ბასტია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 073 | პსჟ-გენგამი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 074 | სოშო-მეცი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 075 | ოსერი-ლილი | 2,2 | 2,8 | 3,3 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XVII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 089 | ისტრი-მარტიგი | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 23.00 | 086 | სტრასბური-ამიენი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 087 | ბოვე-კრეტეი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 23.00 | 088 | კანი-სტ. ეტიენი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 090 | ნიცა-ლე ავრი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 23.00 | 091 | ნიორი-აიაჩო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 092 | ნიმი-ვალანსი | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 23.00 | 093 | ნანსი-ლე მანი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 23.00 | 094 | შატორუ-გრენობლი | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| | | 18 ნოემბერი | | | |
| 21.45 | 095 | ლავალი-გენიონი | 1,95 | 2,7 | 4,2 |

### იტალია სერია „ა". XI ტური

| | | | | | |
სამაგიეროდ, კიდევ ერთ სამხრეთამერიკელს, ბრაზილიელ ჟუნინიოს მთელს ბრიტანეთში კარგად იცნობენ. ის თავის დროზე „მიდლსბროში“ თამაშობდა, 1997 წელს კი მადრიდის „ატლეტიკოში“ ლამის 20 მილიონ დოლარად გადავიდა. ამის მერე ნახევარმცველის საქმეები უკან წავიდა და ახლა 28 წლის ჟუნინიო განათხოვრებით მშობლიურ „ვასკუ და გამაში“ ირჯება. „ინგლისი მომენატრა და იქ დაბრუნება მსურს. ვფიქრობ, კიდევ ორი-სამი სეზონის ძლიერად ჩატარება შემიძლია, ამიტომ ალბიონიდან წინადადებებს სიხარულით მივიღებ. ვნანობ კიდეც, მაშინ „მიდლსბროდან“ რომ წავედი“ — თქვა ბრაზილიელმა.

ჟუნინიოსგან და თავისი მეგობრის, სტივ მაკმანამანისგან განსხვავებით, კუნძული არასდროს მიუტოვებია მაიკლ ოუენს, რომელიც წლევანდელი „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვის ერთ-ერთი ფავორიტია. ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი დეკემბერში დასახელდება, მანამდე კი თავისი რჩეული პრესას სტივ მაკმანამანმა გაანდო (თუმცა მის აზრს ჟურნალისტთა გამოკითხვაში მნიშვნელობა არ აქვს), „ოქროს ბურთს“, ალბათ, რაული მიიღებსო: „რაული თუნდაც იმიტომაა ამის ღირსი, რომ პრიმერადივიზიონშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც საუკეთესო ბომბარდირი გახდა — თქვა მაკამ — მართალია, ოუენი ჩემი მეგობარია და თანაც „ლივერპულში“ და ნაკრებში არანაკლებ მნიშვნელოვანი გოლები გაიტანა, მაგრამ საუკეთესო მაინც რაულია“.

ლივერპულში რომ წავალ, ბიჭები ნაღდად მომკლავენ ამის თქმის გამოო, დასძინა ღიმილით სტივმა.

**გიგა ქოგახიძე**



სტივ მაკმანამანი: ვამბობ, რასაც ვფიქრობ

### ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** სააგენტოები იუწყებიან, რომ „იუვენტუსი“ მოლაპარაკებებს აწარმოებს „ლიდს იუნაიტედთან“ ოლივიე დაკურის შესაძენად და თანახმაა, ფრანგის სანაცვლოდ 16 მილიონი დოლარი გადაიხადოს. თავად პრემიერლიგურ კლუბსაც სურს ახალი მოთამაშის გადაბირება. დევიდ ოლირის ყურადღება „ფეიენოორდის“ ავსტრალიელმა ლეგიონერმა ბრედ ემერტონმა მიიპყრო, რომელიც შესაძლოა, „ლიდსში“ სულ მალე შეუერთდეს თავის ორ თანამემამულეს — ჰარი კიუელსა და მარკ ვიდუკას. 22 წლის ემერტონის გადაბირებით პრემიერლიგის სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებული. როტერდამული კლუბი ავსტრალიელს 15 მილიონ გირვანქად აფასებს.

**ჰოლანდიელი** ნახევარმცველის მარკ ვან ბომელის შეძენით „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლიდსი“ დაინტერესდნენ, თუმცა ყველაზე სავარაუდოა, რომ ფეხბურთელმა, რომელსაც „პსვ ეინდჰოვენთან“ კონტრაქტი 2005 წლამდე აკავშირებს, ახალი სეზონიდან კატალონიური კლუბის მაისურა მოირგოს. არც იმას გამორიცხავენ, „ბარსელონამ“ ვან ბომელში ფილიპ კოკუ გაცვალოს, რადგან 31 წლის ჰოლანდიელმა ცოტა ხნის წინ სურვილი გამოთქვა, სამშობლოში დაბრუნდეს.

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ვიგოს „სელტას“ ნახევარმცველი ალექსანდერ მოსტოვოი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. რუს ფეხბურთელს პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „ბილბაოს“ წინაალმდეგ მსაჯ ტელიეს სანჩესის გადაწყვეტილებები არ მოეწონა და თამაშის დასრულების შემდეგ გასახდელშიც კი მიეჭრა საკამათოდ. იუწყებიან, რომ მოსტოვოის რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია ელოდა. თუმცა მან შემდეგ ბოდიში მოიხადა და კომისიამაც შეუმსუბუქა სასჯელი.

**საფრანგეთის** ჩემპიონატის წინა სეზონის საუკეთესო მოთამაშედ „ლილის“ მცველი პასკალ სიგანი დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ კლუბის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს ცოტა ხნის წინ კონფლიქტიც კი მოუვიდა მწვრთნელ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩთან, რის გამოც გავრცელდა ხმები, თითქოს „ლილიდან“ „დეპორტივოში“ აპირებდა გადაბარგებას, თუმცა შემდეგ 27 წლის მცველმა განაცხადა, რომ ყველა უთანხმოება მოგვარდა და იგი ფრანგულ კლუბთან მალე გააგრძელებს კონტრაქტს.

**იტალიური** „ლაციოს“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელის მიყვანითაა დაინტერესებული. არ გამორიცხავენ, რომაულ კლუბში იანვრიდან მარტინ იორგენსენი გადავიდეს. ამ ფეხბურთელს ძაკერონი „უდინეზედან“ იცნობს. რომიდან მიიღო მიწვევა „გალათასარაის“ ნახევარმცველმა ჰაქან უნსალმაც, თუმც „ლაციოსთან“ გარდა მას „რომაშიც“ ეპატიჟებიან. „ლაციოდან“ კიდევ ერთი სიახლეა. სიმონე ინძაგი იტალიის თასზე „სიენასთან“ მატჩში მიღებული წითელი ბარათის გამო 28 ნოემბრის საპასუხო შეხვედრას გამოტოვებს.

**ესპანური** სააგენტოების ცნობით, „მალიორკამ“ „ოვიედოს“ 25 წლის თავდამსხმელის რობერტო ლოსადას ტრანსფერი წარმატებით დაასრულა და სანაცვლოდ 2,4 მილიონი დოლარი გადაიხადა. ფეხბურთელმა ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თუმცა ბალეარის კუნძულების კლუბში დეკემბრიდან შეძლებს თამაშს, მას შემდეგ, რაც ესპანეთის ლიგაში სატრანსფერო სეზონი კვლავ გაიხსნება.

**ინგლისურმა** „ტოტენჰემმა“ „პორტსმუთიდან“ 42 წლის მეკარე დეივ ბიზანტი შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ვეტერანი გოლკიპერი ქვედალიგური კლუბის ძირითად შემადგენლობაშიც ველარ ხვდებოდა მას შემდეგ, რაც ცოტა ხნის წინ „პორტსმუთმა“ იაპონელ იოშიკაცუ კავაგუჩი შეიძინა. ცნობისთვის, ბიზანტი რამდენიმე წლის წინ „საუთჰემპტონის“ ღირსებას იცავდა და სწორედ მას გაუტანა იმხანად „მანჩესტერ სიტიში“ მოთამაშე გიორგი ქინქლაძემ ჩინებული დრიბლინგის შემდეგ დასამახსოვრებელი გოლი.

**ფრანგულმა** „რენმა“ კოტდივუარელ მეკარე ბარი დი კოპასთან გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი. 21 წლის კარის დარაჯი რამდენიმეკვირიან შემოწმებას გადიოდა „რენში“ და საბოლოოდ კლუბში დარჩენის უფლებაც მიიღო. დი კოპა უკვე ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს და არ გამორიცხავენ, უახლოეს ტურებში მოედანზეც გამოჩნდეს.

## ამხანაგური მატჩები




ესპანეთი — მექსიკა. მელვინ ბრაუნის (№20) და კლაუდიო სუარესის (№2) მექსიკა რაულის ერთადერთი გოლით დამარცხდა

## ოთხი გააგდეს, ხუთი შეაგდეს

### შეწყვეტილი ამხანაგობა

**მალტა 2:1 კანადა**

1:0 კარაბოტი (33პ), 1:1 სულტერი (42), 2:1 მიფსუდი (76)

**საბერძნეთი 1:2 კვიპროსი**

0:1 ოკასი (4), 1:1 ლიბეროპულოსი (86), 1:2 იოაკიმი (88)

**ლატვია 1:3 რუსეთი**

0:1 ხოხლოვი (8), 0:2 ალენიჩევი (47), 0:3 ბანოვი (72), 1:3 ასტაფიევსი (89)

**უნგრეთი 5:0 მაკედონია**

1:0 ლისტეში (3), 2:0 ფერენცი (25), 3:0 ა. ტოკოლი (56პ), 4:0 ტოკოდი (66), 5:0 ლისტეში (75)

**პოლონეთი 0:0 კამერუნი**

**ესტონეთი 0:0 ყაზახეთი**

**ესპანეთი 1:0 მექსიკა**

1:0 რაული (73)

**პორტუგალია 5:1 ანგოლა**

0:1 ა. მენდონსა (1), 1:1 ფიგუ (26პ), 2:1 ნუნუ გომეში (36), 3:1 ჟორჟე ანდრადე (39), 4:1 ბოა მორტე (47), 5:1 ნუნუ გომეში (63)

**მაროკო 1:0 ზამბია**

1:0 როკი (86)

**ანგოლა** პორტუგალიის ყოფილი კოლონიაა და მათ ამხანაგურ შეხვედრას, ეგებ, პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. აქვე რამდენიმე კვირის წინ, საფრანგეთ — ალჟირის მეგობრულად დაწყებულ და არეულობით შეწყვეტილი თამაშიც გვახსენდება. მაშინ ფუნდამენტალისტი ალჟირელი გულშემატკივრები მინდორზე შეიჭრნენ და შეხვედრაც ჩაშალეს. რატომ ვერ გაითვალისწინეს პორტუგალიელებმა ფრანგთა გამოცდილება, არ ვიცი. მათი მცდელობა, ანგოლასთან ურთიერთობაში ნაბიჯი გადაედგათ, საფეხბურთო მინდორზე უშედეგოდ დასრულდა.

უკვე პირველივე წუთზე სტუმარმა მენდონკამ გოლი გაიტანა და მასპინძლებს აგრძნობინა, ქედის მოხრას არ ვაპირებთო. აი, აქედან კი ნამდვილი დრამა დაიწყო. ფრანგმა არბიტრმა პასკალ გრიბინმა 26 წუთში სამი ანგოლელის გაფრთხილება, შემდეგ გაძევება და მათსავე კარში პენალტის დანიშვნა მოასწრო. თერთმეტმეტრიანი ლუიშ ფიგუმ შეაგდო. მერე პანტაპუნტით შედიოდა ბურთები ანგოლელთა კარში. 64-ე წუთზე კი არბიტრმა სტუმრებს მეოთხე ფეხბურთელიც გაუძევა (ან წითელი ბარათი მიეწება ხელზე, ან ეჩქარებოდა სადმე) და შეხვედრაც შეწყდა. ანგოლელმა გულშემატკივრებმა თავი დაჩაგრულად იგრძნეს, რის გამოც ლისაბონის სტადიონის სკამების მტვრევას მიჰყვეს ხელი, მათი მწვრთნელი კი სიტყვებს ვერ პოულობდა აღშფოთების გამოსახატავად. მატჩის შემდეგ საზეიმო ცერემონიალიც იყო დაგეგმილი, მაგრამ ვილას ეზეიმებოდა. მსგავსი რამ სანაკრებო დონეზე 1977 წელს მონტევიდეოშიც მომხდარა, ურუგვაისა და ეკვადორის „ამხანაგურ“ მატჩში. მაშინ სტუმრებს ხუთი ფეხბურთელი გაუძევეს.

სხვა შეხვედრებმა მშვიდად ჩაიარა. ესპანეთი მექსიკას მასპინძლობდა და რაულის გოლით დაამარცხა. აღმოჩნდა, რომ ესპანელი ფორვარდისთვის ეს 49-ე თამაშში 23-ე გოლი ყოფილა. ამ მაჩვენებლით იგი ლეგენდარულ ალფრედო დი სტეფანოს გაუთანაბრდა, რომელსაც ამდენივე 31 მატჩში მოუხერხებია. მათზე მეტი გაუტანიათ ფერნანდო იეროს და ემილიო ბუტრაგენიოს.

ჩვენმა ნაცნობმა უნგრეთის ნაკრებმა კი მაკედონიას ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ესპანეთი

II დივიზიონი

**გადადებული მატჩი**

**ხიმნასტიკი 2:0 ფეროლი**

1:0 დეუსი (6), 2:0 პინილია (14)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 14 | 9 | 3 | 2 | 26:11 | 30 |
| ხერესი | 14 | 9 | 1 | 4 | 18:12 | 28 |
| ბურგოსი | 14 | 7 | 2 | 5 | 13:12 | 23 |
| ოვიედო | 14 | 5 | 7 | 2 | 13:7 | 22 |
| ალბასეტე | 14 | 6 | 4 | 4 | 14:9 | 22 |
| უელვა | 14 | 6 | 4 | 4 | 15:13 | 22 |
| ფეროლი | 14 | 6 | 3 | 5 | 19:17 | 21 |
| სალამანკა | 14 | 5 | 6 | 3 | 19:17 | 21 |
| ხაენი | 14 | 6 | 3 | 5 | 12:14 | 21 |
| ეიბარი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:8 | 20 |
| ნუმანსია | 14 | 4 | 6 | 4 | 15:14 | 18 |
| მურსია | 14 | 4 | 6 | 4 | 15:15 | 18 |
| რასინგი | 14 | 4 | 6 | 4 | 14:15 | 18 |
| ელჩე | 14 | 4 | 6 | 4 | 10:15 | 18 |
| სპორტინგი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:17 | 16 |
| კორდობა | 14 | 4 | 4 | 6 | 15:16 | 16 |
| ბადახოსი | 14 | 4 | 3 | 7 | 11:15 | 15 |
| ლეგანესი | 14 | 3 | 6 | 5 | 8:14 | 15 |
| ესტრემადურა | 14 | 3 | 5 | 6 | 11:15 | 14 |
| ლევანტე | 14 | 3 | 5 | 6 | 11:20 | 14 |
| ხიმნასტიკი | 14 | 2 | 6 | 6 | 12:17 | 12 |
| პოლი ეხიდო | 14 | 1 | 5 | 8 | 13:23 | 8 |

### საფრანგეთი

II დივიზიონი

**XVI ტური**

**ამიენი 2:0 ნიცა**

1:0 დიალო (48), 2:0 აბალო (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტრასბური | 15 | 8 | 5 | 2 | 23:10 | 29 |
| ბოვე | 15 | 8 | 5 | 2 | 17:7 | 29 |
| აიაჩო | 15 | 8 | 4 | 3 | 21:13 | 28 |
| ლე ავრი | 15 | 6 | 8 | 1 | 22:9 | 26 |
| კაენი | 15 | 7 | 5 | 3 | 22:18 | 26 |
| ამიენი | 15 | 6 | 5 | 4 | 23:16 | 23 |
| ნიცა | 15 | 7 | 2 | 6 | 22:15 | 23 |
| ლავალი | 15 | 7 | 2 | 6 | 20:19 | 23 |
| ნანსი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:15 | 21 |
| შატორუ | 15 | 6 | 3 | 6 | 17:18 | 21 |
| გენიონი | 15 | 5 | 6 | 4 | 18:20 | 21 |
| ლე მანი | 15 | 4 | 5 | 6 | 13:19 | 17 |
| სენტ ეტიენი | 15 | 3 | 7 | 5 | 14:17 | 16 |
| ისტრი | 15 | 4 | 4 | 7 | 14:18 | 16 |
| გრენობლი | 15 | 4 | 4 | 7 | 11:25 | 16 |
| ნიმი | 15 | 2 | 9 | 4 | 13:15 | 15 |
| ნიორი | 15 | 2 | 7 | 6 | 14:20 | 13 |
| ვასკეალი | 15 | 3 | 4 | 8 | 12:20 | 13 |
| კრეტეი | 15 | 2 | 6 | 7 | 12:19 | 12 |
| მარტიგი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:22 | 12 |

18 ნოემბერი. 15 საათი

საქართველო - სამხრეთ აფრიკა „ა“

თბილისი. «ლოკომოტივის» სტადიონი

# ნაკრებში სეკვესტრია

## სორელმა ფრანგებს ქართველები დაუთმო

**10 ნოემბერს** ქართველთა მიერ საფრანგეთის „ა“ ნაკრების ძლევის შემდეგ ბორჯღალოსანთა ფრანგმა თავკაცმა კლოდ სორელმა მორაგბეებს დასვენების საშუალება მისცა და სამი დღით სახლებში გაუშვა.

გუშინწინ კი თავისთან იხმო შეგირდები და 18 ნოემბერს სამხრეთ აფრიკის „ა“ ნაკრებთან გასამართ მატჩისთვის მზადებას შეუდგა.

უკვე ორი დღეა, რაც ნაკრების წევრები მათთვის კარგად ნაცნობ სასტუმრო „ხედში“ დაბინავდნენ, გუშინ კი მორიგი ვარჯიშიც გამართეს ვარკეთილში მდებარე „ორბელი-ლელოს“ მოედანზე, სადაც უკვე ტრადიციულად კლუბის ნორჩი მორაგბეები და ხელმძღვანელები დახვდნენ.

სორელის განკარგულებაში ამჟამად ოცდაათი მორაგბეა, თუმც მათი რიცხვი ორით შემცირდება, ვინაიდან ფრანგული „კრეზოს“ მორკინალები სერგო გუჯარაიძე და ბესიკ უდესიანი მატჩამდე დატოვებენ თბილისს და თავიანთ კლუბს მიაშურებენ. საქმე ისაა, რომ „კრეზოს“ თურმე მეტად პრინციპული და მნიშვნელოვანი შეხვედრები ელის საფრანგეთის ჩემპიონატში. ფრანგებს ქართველი მორკინალების ძალიან ეიმედებათ. ამიტომ თხოვნით მიუმართავთ რაგბის კავშირისთვის და პირადად დალაპარაკებიან კლოდ სორელს, იქნებ ეგ ბიჭები ჩვენ დაგვითმოთო. კლუბის ხელმძღვანელების დაჟინებულ თხოვნას გაუჭრია და უდესიან-გუჯარაიძის დუეტი კვირას „კრეზოს“ ღირსებას დაიცავს.

მანამდე კი უდესიანიც და გუჯარაიძეც სანაკრებო შეკრებაზე იმყოფებიან და გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. გუშინ მსუბუქად წაივარჯიშეს ტრავმირებულებმა — ილია ზედგინიძემ და მევლუდ მთიულიშვილმა. მთიულიშვილს კუნთი ჰქონდა დაჭიმული, ზედგინიძეს კი საზარდული აწუხებდა. სწორედ ამიტომ ფრანგების ძლევაში მათი მონაწილეობა ვერ მიიღეს. მართალია, ახლა ორივე მორაგბე თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, მაგრამ იქნებიან თუ არა კვირისთვის სრულ მზადყოფნაში, ეს მატჩის წინა დღეს გადაწყდება. რადგან ტრავმირებულებზე ვსაუბრობთ, ვთქვათ, რომ გარემარბი ვასილ აბაშიძე ვერც აფრიკელებთან დაეხმარება თავისიანებს. აბაშიძემ ნაოპერაციევი ფეხი ბოლომდე ვერაფრით მოირჩინა და ექიმებმაც იძულებითი დასვენება ურჩიეს. მწყობრში ჩადგა „ბეზიეს“ და საქართველოს ნაკრების მარჯვენა ბურჯი ტარიელ რატიანიძე. მას საფრანგეთთან მატჩის წინ ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა. მაშინ რატიანიძის მაგივრად კლოდ სორელმა ბოლო მომენტში სოსო ნიკოლაენკოს უხმო. თუმც ამჟამად ტარიელი არაფერს იტკიებს და სათამაშოდ მზად არის.

ვარჯიში კი ხუთ საათზე დაიწყო და დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა. თავიდან მორაგბეები გახურდნენ, მერე სორელისგან მითითებები მიიღეს და საწვრთნელი პროცესიც გაჩაღდა.

სორელმა გუნდი ორად გაყო და ცალკარა ათამაშა. ერთი გუნდი გამუდმებით უტევდა, მეორე კი თავს იცავდა. ამის შემდეგ მორაგბეები თავისთან იხმო და აუტებში ავარჯიშა. ამ ხნის განმავლობაში ბორჯღალოსანთა ფრანგმა მწვრთნელმა რამდენიმე კომბინაცია დაამუშავებინა შეგირდებს, მერე ისევ ორად გაყო და ერთმანეთში გვარიანად აჯაჯგურა.

სანამ ნაკრების წევრებს სორელი აქეთ-იქით დაარბენინებდა და საკმაოდ ოფლსაც აღვრევინებდა, ბორჯღალოსანთა მორკინალ გრეგუარ იაშვილის მამა, მიშელ იაშვილი „ორბელი-ლელოს“ აღსაზრდელებთან ერთად მოედნის კიდესთან ერთობოდა. წარსულში სახელგანთქმულმა მორაგბემ და საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილმა მორკინალმა ნორჩებთან ბურთის თამაშით შეიქცია თავი, მერე კი მათთან ფოტოებიც გადაიღო. ის წუთები დიდხანს ემახსოვრებათ იმ პატარა ბიჭებს და სამახსოვრო ფოტოები თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს მათ საოჯახო ალბომში.

მოედანზე კი სორელი ქანცს აცლიდა მორაგბეებს და, ბინდი რომ არ ჩამოწოლილიყო, კიდევ დიდხანს გააგრძელებდა. როდესაც სორელი დარწმუნდა, რომ ვარჯიშის გაგრძელება შეუძლებელი იყო, შეგირდებს ვარჯიშის დასრულება აუწყა. მორაგბეებმაც სული მოითქვეს, წყალი დალიეს და მიკროავტობუსებს მიაშურეს, რომლებსაც ისინი სასტუმრო „ხედში“ უნდა წაეყვანა.

დღეს ნაკრები ისევ ორჯერად ვარჯიშს გამართავს, საბოლოო 22-კაციან საბრძოლო რაზმს კი სორელი შაბათს, მატჩის წინა დღეს დაასახელებს. მანამდე კი იმ გაფართოებულ შემადგენლობას გთავაზობთ, რომლისგანაც სორელი თავის არჩევანს გააკეთებს.

***მორკინალები:*** *ლევან ცაბაძე, მევლუდ მთიულიშვილი, აქვსენტი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე, სოსო ნიკოლაენკო, ლევან ჯაველიძე, მამუკა მაგრაქველიძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, დავით ბოლღაშვილი, გია ლაბაძე, ილია ზედგინიძე, შალვა პაპაშვილი.*

***უკანა ხაზი:*** *გუჯა იოვაძე, შოთა მოდებაძე, პალიკო ჯიმშელაძე, თედო ზიბზიბაძე, კახა ალანია, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბადრი ხეხელაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი ბუღიანიშვილი, ირაკლი გიორგაძე, ოთარ ელოშვილი, ირაკლი მაჩხანელი, ოთარ ბარკალაია.*

**ბაჩო სვანიძე**

# გამჭვირვალე ლიგა რაგბის შეეწევა



გოჩა სვანიძე

***ძნელად*** *თუ მოიძებნება ჩვენში ხალხი, სხვადასხვა საქმიანობიდან ნაშოვნი ფული ქველმოქმედებას მოახმაროს. თუმცა, საბედნიეროდ, ისეთებიც არიან, მარტო თავიანთ კეთილდღეობაზე რომ არ ზრუნავენ და უანგაროდ ცდილობენ, რაღაცით მაინც შეეწიონ სხვადასხვა დარგებს.*

*ძალიან უჭირს დღეს ქართულ რაგბის. მიუხედავად ეროვნული ნაკრების წარმატებებისა, შინაურ ჩემპიონატში, ვერ არის საქმე კარგად. ელემენტარულად, ერთი ნორმალური მოედანიც კი არ გააჩნიათ ჩვენს მორაგბეებს, მოუწესრიგებელია კლუბების შიდა სტრუქტურა... ერთი სიტყვით, ქართული რაგბი დღეს სავალალო დღეშია და თუ დროზე არ მიეხედა, ადვილი შესაძლებელია, რაც გაგვაჩნია, ისიც დავკარგოთ.*

*და აი, გამოჩნდა ხალხი, ვისაც ქართული რაგბი დაჩაჩანაკებისთვის არ ემეტება. ისინი შეიკრიბნენ და რაგბის მხარდამჭერთა ლიგა დააარსეს. ჩვენ ამ ლიგის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ადვოკატ გოჩა სვანიძეს ვესაუბრეთ, რომელიც უწინ თავად იყო მორაგბე, მეტსახელად — „ბოქლომა“.*

— რაგბის მხარდამჭერთა ლიგას ექვსი დამფუძნებელი ჰყავს. აქედან ოთხი ფიზიკური პირია — ლევან იოსელიანი, მამუკა ლობჟანიძე, გენადი ლადუა და ირაკლი გვენეტაძე, დანარჩენი ორი კი საქართველოს რაგბის კავშირი და ჟურნალი „რაგბია“. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ლიგაში გაწევრიანება სხვას არ შეუძლია. ვისაც ქართულ რაგბიზე გული შესტკივა და სურვილი აქვს დაეხმაროს, მათთვის ლიგის კარი ყოველთვის ღიაა.

ჩამოვაყალიბეთ სტრუქტურაც, ანუ შევქმენით დირექტორთა საბჭო, რომლის თავმჯდომარე მე გახლავართ. ასე გადაწყვიტეს საბჭოს წევრებმა და მეც დავთანხმდი.

**— რა გზით აპირებთ შეეწიოთ ქართულ რაგბის?**

— უპირველესი პრეროგატივა სარაგბო მოედნების მშენებლობაა. ღმერთმა ინებოს, ფინანსურად ისე დალხენილად ვიყოთ, რომ ყველას გავუწოდოთ დახმარების ხელი. გეგმები გვაქვს, გარკვეული რაოდენობის თანხა სტადიონების მშენებლობას მოვახმაროთ, შევარემონტოთ საშხაპეები, კეთილმოვაწყოთ გასახდელები, მივხედოთ ბავშვთა რაგბის. ცნობილია, რომ დღეს მსაჯობა საქართველოში საკმაოდ დაბალი დონისაა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს რაგბის განვითარებაზე. მოდიან ახალგაზრდა კადრები, რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მერე მხრივ ცუდიც, ვინაიდან ეს გამოუცდელი მსაჯები ხშირ შემთხვევებში ბევრს სცოდავენ. ეს კი იმის ბრალია, რომ სათანადო ცოდნა და პრაქტიკა არ გააჩნიათ. ჩვენ ვაპირებთ ამ ახალგაზრდების უცხოეთში მივლინებას. ჩავლენ იქ, დაესწრებიან სემინარებს, ისწავლიან, დაბრუნდებიან და მიღებულ ცოდნას ქართულ რაგბის მოახმარენ.

**— ამას ყველაფერს სოლიდური დაფინანსება სჭირდება...**

— რაგბის მხარდამჭერთა ლიგა ბიზნესმენებმა დააარსეს და აქედან გამომდინარე, ალბათ, შევძლებთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ქართული რაგბის კეთილდღეობისთვის. გარდა ამისა, ლიგის მოღვაწეობა სავსებით გამჭვირვალე იქნება. ანუ ლიგის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება. ამას კი საინფორმაციო საშუალებებით გავაკეთებთ.

**— როდის შედგება რაგბის მხარდამჭერთა ლიგის ოფიციალური პრეზენტაცია?**

— გვინდა, საქმე ყოველგვარი პომპეზურობის და აფიშირების გარეშე ვაკეთოთ. ოფიციალური პრეზენტაცია ალბათ არ შედგება. პრეზენტაცია ის იქნება, ლიგა პირველ კეთილ საქმეს რომ გააკეთებს.

**ბათუ ხარძიანი**



# კაბაევას დოპინგი შეჰპარვია

**სრულიად** რუსეთის სიამაყეს, მხატრულად ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევას ცხელი დღეები უდგას მაშინ, როცა იგი სიხარულით მეშვიდე ცაზე უნდა იყოს. გასულ თვეში მადრიდში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მან ექვს დისციპლინაში აიღო პირველობა და რუსეთის ნაკრებსაც გუნდური ოქრო მოაგებინა. ახლა ამ მოხდენილმა რუსმა გოგონამ იქნებ ეს ყველაფერი ერთბაშად დაკარგოს, რადგან დოპინგის მოხმარებაშია ეჭვმიტანილი. მასთან ერთად აკრძალულ სტერეოიდთა მიღებაში მხილებულია მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი კაბაევას თანამემამულე და თანაგუნდელი ირინა ჩაშჩინა.

ეს წყვილი მსოფლიოს ჩემპიონატზე კი არა, კეთილი ნების თამაშებზე ჩავარდა. წლეულს აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში გამართული კეთილი ნების თამაშების სადოპინგო კომიტეტმა ახლაღა გამოიკვლია მონაწილეთა ანალიზები. კაბაევას და ჩაშჩინას ანალიზებმა მკვლევარებს დადებითი შედეგი უჩვენა.

„გავოგნდი, ეს რომ გავიგე. მე ვიცოდი რას ვჭამდი, მაგრამ რა ვიცოდი, რას შეიცავდა საჭმელი. ჩვენ ყოველთვის ექიმი გვიწერს მენიუს. ახლა კი გამოდის, საკვებთან ერთად დოპინგი მივიღე“ — კაბაევა ცოტა დაბნეულად გამოიყურებოდა. სტიმულატორი ფუროსემიდი აღმოჩნდა. კაბაევასა და ჩაშჩინას მწვრთნელი ირინა ვინერი ამას შემთხვევითობას მიაწერს. „ჩვენ ვიყენებდით წინასწარ შეკვეთილ საკვებს, მაგრამ ხანდახან სხვებთან შეუთანხმებლადაც ვჭამდით, ასე რომ, თუ მართლა აღმოჩენილია სტერეოდები, მხოლოდ ბრმა შემთხვევის გამო. სულელი უნდა იყო, სტიმულატორები რომ მიიღო. ვიმედოვნებ, სიმართლე მალე დადგინდება“ — ამბობს ვინერი.

ამ ამბით დაინტერესებული ხალხი ახლა განმეორებით ტესტს ელოდება. თუ ის ამჯერადაც დადებითი აღმოჩნდა, ანუ დოპინგის ხმარება დაუმტკიცდათ, მშვენიერ რუს გოგონათა ელვარე კარიერას სერიოზული საფრთხე დაემუქრება.



ალინა კაბაევა



# აგასიადის დასასრული

## სიდნეიში ახალგაზრდების აღლუმია

სიდნეი (ავსტრალია). „მასტერს კაპი“
საპრიზო 3,7 მილიონი $

**კენ როუზუოლის ჯგუფი**

**ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) — გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) 7:6(7:3), 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) — გორან ივანიშევიჩი (8, ხორვატია) 6:3, 6:4**

**ჯონ ნიუკომბის ჯგუფი**

**სებასტიენ გროჟანი (7, საფრანგეთი) — ანდრე აგასი (3, აშშ) 6:3, 6:4**

სიდნეიში მიმდინარე სეზონის ბოლო ტურნირის განრიგით ხუთშაბათს და პარასკევს ორის ნაცვლად სამ-სამი მატჩი უნდა ჩატარდეს, რაც შაბათისთვის ნახევარფინალების გამართვის წინაპირობაა. გუშინ კენ როუზუოლის ჯგუფში ორი მატჩით მეორე ტური შესრულდა და ჯონ ნიუკომბელებმა მესამე დაიწყეს. ეს ბოლო მოვლენა სწორედ ბოლოსკენ შემოვინახოთ.

ხუან კარლოს ფერერომ გუსტავო კუერტენს მოუგო და პრაქტიკულად გადაწყვიტა, რომ გუგა სეზონს პირველ ჩოგნად ვერ ჩაამთავრებს. კუერტენს ორი წაგების შემდეგ ნახევარფინალში გასვლის შანსი ამოეწურა და მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეუძლია, ისაა, რომ მესამე ტურში ევგენი კაფელნიკოვს მოუგოს და ცოტა ქულები მაინც შეიმატოს. მერე იქნებ ლეიტონ ჰიუტმაც დაამუხრუჭოს შემთხვევით და მოკლედ, ამას კაი ცხოვრება ჰქვია. საეჭვოა, კაფელნიკოვმა კუერტენს რამე დაუთმოს, მით უმეტეს, სიდნეიში მგელივითაა და აკი გორან ივანიშევიჩს მოუგო კიდეც.

ჰო, ფერეროსა და კუერტენის მატჩზე ვლაპარაკობდით. ახალგაზრდა ესპანელმა საათნახევარში მოუმთავრა საქმე „როლან გაროსის“ სამგზის ჩემპიონს. აქ იყო ფერეროს უპირატესობა მოწოდებებში, მიღებებსა და დაგროვილ ქულებში, ესპანელმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრა. კრიზისი შეიქმნა მხოლოდ მაშინ, როცა ფერეროს პირველი სეტი თითქმის მოგებული ეგონა. კერძოდ, იგი წინ იყო 4:1 და 2 ბრეიკპოინტი ჰქონდა, მაგრამ გუგამ შენიშნა, მეტოქემ რომ წათვლიმა და შეუტია. 4:4-ის შემდეგ თამაში გათანაბრდა, ტაიბრეიკი ფერერომ მოიგო და მეორე სეტში აღარ მისცა თავს მოდუნების უფლება, 6:2 მოიგო.

„თუ ლეიტონი (ჰიუიტი) პირველი ნომერი გახდება — თქვა კორტიდან ბრაზიანი ჟესტებით გასულმა კუერტენმა — ეს სავსებით დამსახურებული ექნება. ბოლო ორი თუ სამი თვის მანძილზე ის საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობს. რატომ გავნერვიულდი? რა კითხვაა, წავაგე და იმიტომ. წაგება არავის უხარია. ისე, დღეს ჩემი თამაში უწინდელზე მეტად მომეწონა“.

კენ როუზუოლის ჯგუფში ევგენი კაფელნიკოვს თავი ქუდში ანუ ნახევარფინალში ეგულება, ხოლო მეორე გასული დღეს უნდა გაირკვეს, როცა ფერერო და ივანიშევიჩი შეხვდებიან. ხორვატმა კუერტენის დამარცხებას კაფელნიკოვთან დამარცხება მიაყოლა, თუმცა პირველი გეიმები საპანიკოს არაფერს მოასწავებდა. 4:4-ის შემდეგ ივანიშევიჩი გაითიშა მხოლოდ მე-9 გეიმში, როცა კაფელნიკოვმა ჩოგანი თითქმის ყავარჯენივით ამოიჩარა იღლიაში და სიამოვნებით უჭვრეტდა მეტოქის 3 ორმაგ შეცდომას. რუსმა სეტი 27 წუთში მოიგო და მეორე სეტში მეტოქის ერთი მოწოდება რომ დაინარჩუნა, გამარჯვებისთვის სავსებით ეყო. სტატისტიკური მონაცემებითაც კაფელნიკოვმა იძალა, მაგალითად, 64 ქულა მიითვალა მეტოქის 49-ის საპირისპიროდ და მარტო ერთ რამეში ვერ აჯობა ხორვატების კერპს. მკითხველი სწორად მიხვდა: საუბარია ეისებზე. გამარჯვებულმა 7-ჯერ ჩააწოდა აუღებელი, დამარცხებულმა — 9-ჯერ.

დღის ბოლო მატჩით ჯონ ნიუკომბის ჯგუფში მე-3 ტური დაიწყო და ახალგაზრდა სებასტიენ გროჟანმა ჭაღარა (საჩოგბურთო თვალსაზრისით ვამბობთ, თორემ თმა სადა აქვს?) ანდრე აგასის ნახევარფინალის გზა გადაუკეტა და ჯგუფში ჩატოვა. მატჩი რომ დამთავრდა, ტაბლოზე ესთეტიური 1:11 ენთო. ამ ხნის მანძილზე ფრანგმა ამერიკელს ორიოდ მოწოდება აართვა და ორი მატჩპოინტით შეუდგა გამარჯვების გაფორმებას. აქ აგასი გაჯიქდა და „თანაბარს“ უწია, მაგრამ გროჟანმა მოახერხა ორი ბურთის ჩაგდება და ნახევარფინალშია. ჯგუფის ბოლო მატჩი, ჰიუიტი — რაფტერი, მხოლოდ ფორმალობაა. ჰიუიტი თამაშს გააგრძელებს, რაფტერი — ტრიბუნაზე...

**დავით გულუა**

# პრივალოსანი



ლენოქს ლუისი

REUTERS ლას ვეგასიდან



ჰასიმ რაჰმანი



REUTERS ლას ვეგასიდან

დონ კინგი

**ჰასიმ რაჰმანი** ამბობს, რომ ხვალ, შაბათს, 17 ნოემბერს, ლას ვეგასის „მენდელი ბეიში“ შვიდი თვის წინანდელი განმეორდება — ის მუშტს მოიქნევს, ლენოქს ლუისი კი ნოკაუტში აღმოჩნდება. მოგეხსენებათ, შვიდი თვის წინ, აპრილში, სამხრეთ აფრიკაში მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: რაჰმანმა მოიქნია და მსოფლიოს უდავო ჩემპიონი, ლენოქს ლუისი რინგზე გაიშოტა. მას მერე უდავო ჩემპიონის წოდება რაჰმანისაა.

და რაჰმანი იქადნება, მაგრამ ლუისი მისი იდეების მოსმენით მაინც და მაინც არ იწუხებს თავს. ოთხშაბათს, საპრესკონფერენციო დარბაზში მან ტრადიციული ბრძოლისწინა ფოტოს გადაღებაზეც კი უარი განაცხადა.

„ქულების დათვლა რა ბედენაა, ლუისი პირდაპირ უნდა დავანოკაუტო“ — ტრაბახობდა რაჰმანი — „დაიმახსოვრეთ, რასაც ვამბობ: მე შემიძლია ის კვლავ რინგზე გავშოტო“.

როგორც მოგახსენეთ, ისინი პრესკონფერენციაზე ერთად იყვნენ. „შეხედეთ, როგორ ეშინია ჩემი. მოდი, ლენოქს, ნუ გაიქცევი დარბაზიდან, 17 ნოემბრამდე არ მოგადებ კბილებში. არ მესმის რატომ გეშინია ასე. გპირდები, ჯერ არ გცემ“ — არ ისვენებდა რაჰმანი.

ლუისი კი თავშეკავებული გახლდათ. იგი (38-2) მეტოქისგან (35-2) განსხვავებით სიტყვამწარეობას არ შეუდგა:

„საკმარისია, რაც ითქვა. დროა საქმეზე გადავიდეთ. ლაპარაკი ჩემი მეტოქისთვის დამითმია. ჩემთვის მთავარი ბრძოლაა. ბოლო ხანს დღეებს ვითვლი, რათა მთელ მსოფლიოს ვაჩვენო ვინ არის ნამდვილი ჩემპიონი. ვილაცები თვლიან, რომ რაჰმანი პირველსავე რაუნდში დამემგერება და ტემპით მაჯობებს. ჩემს წინააღმდეგ ეს ბევრჯერ უცდიათ. თუმცა, რაც უნდა სცადოს, მე ყველაფრისთვის მზად ვარ. გარწმუნებთ, გამარჯვება ლენოქს ლუისს დარჩება“.

ალსანიშნავია, რომ პრესკონფერენციაზე ყველაფერი ფრთხილად იყო მომზადებული. საქმე ის გახლავთ, რომ აგვისტოში, ESPN-ის ტელესტუდიაში ლუისს და რაჰმანს ჩხუბი მოუვიდათ, რაც მთელმა მსოფლიომ პირდაპირ ეთერში თუ არა, ჩანაწერში მაინც ნახა და, ბუნებრივია ეს გაითვალისწინეს. კერძოდ, საპრესკონფერენციო დარბაზში ლუისი ერთ მხარეს დასვეს, რაჰმანი კი მეორე მხარეს, ხოლო შუაში რკინის ძელები გასდეს და რამდენიმე ლას ვეგასელი პოლიციელიც დააყენეს. ასეთივე ზომები მიიღეს აწონვის ტრადიციული ცერემონიალის დროსაც.

საზოგადოდ, ცნობილია, რომ რაჰმანი ლუისს „ტყავქვეშ შეძვრომას“ უპირებს, რაც ცალკეულ ინტერვიუებში მრავალჯერ უთქვამს.

ბუნებრივია, ხვალინდელ ბრძოლას ბუქმეიქერებიც ეხმაურებიან. „უილიამ ჰილის“ პრესატაშემ განაცხადა: „ჩვენთან საშუალო თანხებს ძირითადად რაჰმანის გამარჯვებაზე ჩამოდიან, თუმცა შაბათის მოახლოებასთან ერთად ლუისზე ჩამოსულ თანხათა რიცხვმაც იმატა. სხვა სურათი კი ასეთია: ქულებით გამარჯვებას უფრო ლუისისგან ელიან, რაუნდების მიხედვით მონიძლავენი კი ლუისის სასარგებლოდ ბრძოლის შეწყვეტას სადღაც მეხუთე-მეშვიდე რაუნდში ვარაუდობენ“.

რაჰმან — ლუისის ბრძოლაზე საუბრობენ სხვა მოკრივეებიც. კერძოდ, უკრაინელი ძმები, კლიჩკოები — მათ შორის ვლადიმირი თავად მძიმეწონოსანი ჩემპიონია, ოღონდ WBO-ს ვერსიით — ამტკიცებენ, რომ უდავო ჩემპიონის წოდებას უთუოდ ლუისი დაიბრუნებს.

„ვგონებ, ლენოქს ლუისი მეთორმეტე რაუნდში დაანოკაუტებს მეტოქეს. ერთადერთი, რამაც ამაში შეიძლება ხელი შეუშალოს, ფსიქოლოგიაა, თუმცა პირველი ბრძოლის შემდეგ ამ კუთხითაც ბევრ რამეს გაითვალისწინებდა. ლუისი ძალიან ტექნიკური და ნიჭიერი მებრძოლია. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ რაჰმანს სძლევს და შემდეგ ჩემს წინააღმდეგ დაიცავს თავის ქამრებს“ — განაცხადა ვლადიმირმა.

მისმა ძმამ, ვიტალიმ, დასძინა: „მგონი ლენოქსმა ქულებით უნდა მოიგოს. ის რაჰმანს სჯობია. რაჰმანმა პირველი ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ ერთი იღბლიანი დარტყმის წყალობით მოიგო. ამჯერად ლუისი გაცილებით უკეთ მოემზადებოდა. ახლა რაჰმანმა უნდა გვიჩვენოს, მხოლოდ იღბლის წყალობით ეხერხება გამარჯვება თუ არსენალში სხვა მეთოდებიც აქვს“

* * *

**გუშინ** ცნობილი შეიქნა, რომ ქვე-ველტერის წონის უდავო ჩემპიონის, კოსტია ძიუსა და „ირლანდიელის“ ანუ მიკი უორდის ბანაკებმა გადაწყვიტეს ეს ორი ჩინებული მოკრივე რინგზე შეახვედრონ ერთმანეთს. წყარომ, რომელმაც ეს ჯერ საიდუმლო ამბავი გათქვა, დააზუსტა, რომ ძიუს პრომოუტერი და მენეჯერი ვლად უარტონი უორდის გუნდს სამშაბათს გაურიგდა. უარტონს მეტოქეთათვის უთქვამს, ჯერ ქვე-ველტერის წონაში, IBF-ის ჩემპიონ ზაბ ჯუდას შეახვედრებთ და მისი ცემის შემდეგ ძიუზეც გამოხვალთო.

იმავ დროს ძიუს რაზმი იანვარში ტედი რიდისა და ბენ ტეკის ბრძოლასაც ელის, რადგან მათ შორის გამარჯვებულმა კოსტია უნდა გამოიწვიოს.

ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ უორდს (37-10, 27) შანსი ეძლევა ძიუსკენ გზა მართლაც მხოლოდ ერთი გამარჯვებით გაიკვალოს.

მაგრამ, ხომ გახსოვთ, ზემოთ ვინს ფილიპსი რომ ვახსენეთ? მას თითოჯერ ძიუც ჰყავს ნაცემი და უორდიც. ასე, რომ საქმე მთლად იოლადაც არ უნდა იყოს.

**ტუტა სიხარულიძე**



# ბერძენ-რომაელები ისტორიულ სამშობლოში სპარინგ-პარტნიორებად იახლეს

## თავისუფლები გასაფრენად ემზადებიან

**ბერძნულ-რომაული** და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის ნიუ იორკიდან ბებერ კონტინენტზე გადმოტანამ ფალავანთა მზადების პროცესი, ისევე როგორც მოლოდინი, უფრო გაახანგრძლივა. მაგრამ იძულებითმა ცვლილებამ მოჭიდავეებს უკეთეს ფორმაში შესვლასაც შეუწყო ხელი. მეორე მხრივ კი, თავდაპირველად გათვალისწინებული სამსოფლიოჩემპიონატო თარიღის 26-29 სექტემბრიდან ორი თვით გადმოვადებამ დამატებითი ხარჯების გაღება გახადა საჭირო. ამ მხრივ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციასაც დასჭირდა ხელახლა ჯიბეზე ხელის გაკვრა, რათა ფალავანთათვის კიდევ ერთი მოსამზადებელი შეკრება მოეწყო. ახლა დადგა დრო, როდესაც ორმაგად ნავარჯიშევ ქართველ მოჭიდავეებს გამოცდის ჩაბარება უწევთ.

უმთავრეს ასპარეზობებში თავდაპირველად თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაერთვებიან. ისინი ამჟამად ორკვირიან მზადებას ბორჯომში გადიან, საიდანაც თბილისში კვირას დაბრუნდებიან და სოფიაში მეორე დღესვე გაემგზავრებიან. 35-ე მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც 22-25 ნოემბერს ბულგარეთის დედაქალაქი უმასპინძლებს, საქართველოს გუნდი სრული შემადგენლობით იასპარეზებს. პირველობისთვის იბრძოლებენ: *გოჩა კირკიტაძე (54 კგ), დავით პოღოსიანი (58 კგ), ოთარ თუშიშვილი (63 კგ), ემზარ ბედინეიშვილი (69 კგ), რევაზ მინდორაშვილი (76 კგ), მალხაზ ჯორბენაძე (85 კგ), ელდარ კურტანიძე (97 კგ), ალექსი მოდებაძე (მძიმე წონა).* სოფიაში გუნდთან ერთად მიემგზავრებიან უფროსი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე და მწვრთნელი გია გალდავა, ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი და დელეგაციის ხელმძღვანელი ომზარ შოშიტაშვილი. ასპარეზობებზე მსაჯად მიწვეულია ედიშერ მაჩაიძეც, რომელსაც საბერძნეთში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვიხილავთ.

ისე კი „თავისუფლებისგან“ განსხვავებით, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს უფრო გაუმართლათ. გარდა იმისა, რომ მათაც ორკვირიანი შეკრება გაიარეს ბორჯომში, მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებისგან მიწვევა მიიღეს: 6-9 დეკემბრამდე, ვიდრე ასპარეზობები გახურდება, ჩვენთან ჩამობრძანდით და ერთად ვივარჯიშოთ. ამასთანავე თქვენი სახით კარგი სპარინგ-პარტნიორიც გვეყოლება. ბინა და კვება ჩვენი, მეტოქეობა თქვენიო. ამაზე უკეთესს მართლაც ვერ ინატრებ, მით უმეტეს, ეს ჩვენს მოჭიდავეებს აკლიმატიზაციაშიც ხელს შეუწყობს. აქვე უნდა ითქვას, რომ ბერძნებს საქართველოს გარდა კიდევ ორი სხვა ქვეყნის გუნდი დაუპატიჟიათ, თუმც რომელი, ამის შესახებ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაშიც არ უწყიან. ჩვენი ფალავნები ათენში სამშაბათს გაემგზავრნენ. 46-ე მსოფლიოს ჩემპიონატს პატრა უმასპინძლებს. მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზებენ: *ვაჟა ომანიძე (54 კგ), ირაკლი ჭოჭუა (58 კგ), აკაკი ჩაჩუა (63 კგ), ალექსანდრე დოხტურიშვილი (69 კგ), გიორგი ჯინჭველაშვილი (76 კგ), მუხრან ვახტანგაძე (85 კგ), გენადი ჩხაიძე (97 კგ).* რაც შეეხება მძიმე წონას, ამ შემთხვევაში ორი კანდიდატი გვყავს — *გიორგი წურწუმია და მირიან გიორგაძე.* რომელ მათგანს ვიხილავთ ხალიჩაზე, ამას იქვე, პატრაში გადაწყვეტენ მწვრთნელები. საბერძნეთში გუნდთან ერთად არიან: მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია, მწვრთნელები — ჯონი რეხვიაშვილი და ოთარ ტატიშვილი. გუნდის ექიმია გოგი ჭუმბურიძე.

**გიგა გურასპიშვილი**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ლინდროსის და ჯუჯას შურისძიება

14 ნოემბერი

**ფლორიდა 2:3 ტორონტო (1:1 0:1 1:1)**

0:1 მაკოლი 7 (4), 1:1 პ. ბურე 19 (8), 1:2 ტაკერი 30 (6), 2:2 ნილსონი 47 (2), 2:3 კაბერლე 53 (1)

**პიტსბურგი 3:3 აილენდერსი (0:2 0:0 3:1)**

0:1 ისბისტერი 5 (3), 0:2 ჩერკასკი 12 (3), 1:2 კოვალიოვი 42 (4), 1:3 ისბისტერი 47 (4), 2:3 კოვალიოვი 47 (5), 3:3 კოვალიოვი 48 (6)

**რეინჯერსი 4:2 ფილადელფია (1:0 1:0 2:2)**

1:0 ლინდროსი 17 (9), 2:0 დვორჟაკი 22 (6), 2:1 ჰლავაჩი 44 (4), 2:2 რენიკი 45 (3), 3:2 ფლერი 49 (8), 4:2 ნედვედი 58 (4)

**კოლორადო 1:0 მინესოტა (1:0 0:0 0:0)**

1:0 დრური 2 (4)

**ანაჰაიმი 2:4 სან ხოსე (1:2 0:1 1:1)**

0:1 სელიანე 2 (4), 0:2 გრეივსი 11 (1), 1:2 სალეი 16 (2), 1:3 შტურმი 22 (7), 2:3 ფრიზენი 55 (5), 2:4 დამფუსი 57 (10)

ერიკ ლინდროსის და მისი ყოფილი კლუბის პირველი შეხვედრაც შედგა. ფილადელფიის გენერალურ მენეჯერ ბობი კლარკთან 16-თვიანი ომის შემდეგ რეინჯერსში გადასულ ერიკს ბოლოს და ბოლოს მიეცა საშუალება, ჯავრი ამოეყარა და შანსი არც გაუშვა ხელიდან.

თამაში ძალიან კარგი და დაძაბული გამოდგა. ერიკის ახალ და ყოფილ პარტნიორებსაც თითქოს გადაედოთ მისი განწყობა და ორივე მხარემ ძალა არ დაიშურა მოსაგებად. ამ საერთო ძალისხმევამ შეხვედრა ზეიმად აქცია.

თავიდანვე გახდა ნათელი, რომ ლინდროსს მწვრთნელთაგან სრული თავისუფლება ენიჭებოდა. 88-ე ნომერი ერთბაშად ორ სამეულში გამოდიოდა. შესაბამისად გაიზარდა მისი ყინულზე ყოფნის დრო და თავის გამოჩენის შანსი. საბოლოოდ მწვრთნელთა ჩანაფიქრი მთლიანად განხორციელდა. ლინდროსმა თავადაც შეაგდო, ხოლო იმ სამეულთაგან ერთმა, რომელშიც ერიკი ბოლო 11 თამაშში მუდმივად გამოდის ტეო ფლერისთან და მაიკ იორკთან ერთად, გამარჯვებაში მთავარი წვლილი შეიტანა.

პირველ წუთებზე ლინდროსი კი არა, რეინჯერსის არც ერთი ფორვარდი არ ჩანდა. სტუმრებმა ძალიან აქტიურად დაიწყეს და ნიუიორკელებს დაცვაზე დასჭირდათ ზრუნვა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უკანახაზელებმა და მეკარე მაიკ რიხტერმა (40 მოგერიება) ბრწყინვალედ გაართვეს ამოცანას თავი. პირველ წუთებზე მათ მეტოქის რამდენიმე შეტევა გააუვნებლეს, ხოლო თავიანთი პირველივე იერიში გოლად აქციეს. ფლერიმ ჩინებული პასი გადააწოდა ლინდროსს, მანაც ოსტატურად დაამუშავა შაიბა და კარში მიუჩინა ადგილი.

სურათი არც ამის შემდეგ შეცვლილა, მაგრამ რაც დაახლოებით ისეთივე კომბინაციის შემდეგ რადეკ დვორჟაკმა გააორმაგა ანგარიში, მთელი 22 წუთის განმავლობაში საინტერესო არაფერი მომხდარა. ფილადელფიელები უტევდნენ, მაგრამ თითქოს იმედი წარეკვეთათ, როცა ბოლო მესამედში ფორტუნამ მათკენ იბრუნა პირი, შრომა დაუფასდათ და 70 წამის განმავლობაში ანგარიში გათანაბრდა. წმინდა ჩეხურ კონტრშეტევას დოპიტა-ჰლავაჩის შესრულებით ჯერემი რენიკის ულამაზესი გარღვევა მოჰყვა და... 2:2. ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა და არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა იგი, ერიკ დეჟარდენს ტანმორჩილი ფლერისთვის ყვანჯი რომ არ ჩაერტყა სახეში. მსაჯებმა რატომღაც შეიბრალეს ფილადელფიელი და მხოლოდ 2 წუთით გააძევეს. სამაგიეროდ, ფლერიმ არ აპატია, რიცხვმრავლობაში იორკის საფლანგო გარღვევის შემდეგ შაიბა კარისკენ გაგზავნა, სადაც მას „ჯუჯა ტეო“ ელოდა. საბოლოოდ კი მატჩის ბედი 58-ე წუთზე პეტერ ნედვედმა გადაწყვიტა ზუსტი, დაფარული დარტყმით. რეინჯერსმა ზედიზედ მეექვსედ მოიგო, რამაც, ცხადია, ყველაზე მეტად ლინდროსი გაახარა... ხოლო საპატიო ლოჟაში მყოფი ბობ კლარკი დაამწუხრა.

დროული დაბრუნებაც ამას ჰქვია. დიდი ხნის განმავლობაში ულიდერებოდ დარჩენილ გაწამებულ პიტსბურგს დახმარება ჰაერივით სჭირდებოდა და ალექსეი კოვალიოვმაც სულზე მიუსწრო. რუსმა ორ დღეში ორი ჰეთ თრიქი მიითვალა (!). მისი ყოველი გოლი მნიშვნელოვანი გამოდგა. აილენდერსთან ხომ „პინგვინები“ 0:2-ის შემდეგ 1:3 აგებდნენ, მაგრამ კოვალიოვმა 30 წამში ორი შაიბა შეაგდო და მეტოქეს ქულა გამოჰგლიჯა.

პატრიკ რუამ როგორც იქნა, თავისი მე-200 მოგება იზეიმა. აშკარად კრიზისში მყოფმა ჩემპიონმა მინესოტასთან მატჩში მხოლოდ ერთხელ შეძლო გოლის გატანა და რუასაც ამ მინიმალური ანგარიშის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდა. აი, ასე, მიუხედავად საკმაოდ უფერული თამაშისა, დენვერელებმა 6-მატჩიანი უხეირობა შეწყვიტეს და, რუასი არ იყოს, ნავსიც გატეხეს, რაც მომავალ შეხვედრებზე აუცილებლად იმოქმედებს.

**სამველ ლარიბიანი**

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

# ვიღას ახსოვს ჯორდანი!

14 ნოემბერი

**ფილადელფია 100:86 შარლოტი**
ფილადელფია: აივერსონი (33), ჰარპრინგი (21)
შარლოტი: მაშბურნი (21), დევისი (20)

**ვაშინგტონი 98:107 მილუოკი**
ვაშინგტონი: ჯორდანი (31), ჰამილტონი (15)
მილუოკი: კასელი (27), ალენი (22)

**ბოსტონი 101:93 ინდიანა**
ბოსტონი: პირსი (31), უოლკერი (24 ქულა, 18 მოხსნა, 9 პასი), ჯონსონი (22)
ინდიანა: როუზი (24), ფოსტერი (17 ქულა, 15 მოხსნა), მილერი (15), ონილი (14 ქულა, 13 მოხსნა)

**ფინიქსი 92:93 ორლანდო**
ფინიქსი: მარბერი (25), მარიონი (20)
ორლანდო: მაკგრეიდი (24 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), იუინგი (22 ქულა, 15 მოხსნა)

**კლიპერსი 106:102 ჩიკაგო**
კლიპერსი: ბრენდი (20), რიჩარდსონი (19), მაკინისი (16)
ჩიკაგო: მილერი (19 ქულა, 16 მოხსნა), მერსერი (17)

**ატლანტა 111:79 იუტა**
ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (19), გლოვერი (19)
იუტა: მარშალი (14)

**გოლდენ სტეიტი 82:89 ტორონტო**
გოლდენ სტეიტი: დამპიე (22 ქულა, 14 მოხსნა), ჯემისონი (19)
ტორონტო: კარტერი (24 ქულა, 6 ჩაჭრა), დევისი (18)

**კლივლენდი 94:107 დალასი**
კლივლენდი: ჯონსი (20), დოლიკი (17), მიურეი (17)
დალასი: ნოვიცკი (28), ფინლი (22), ბრედლი (15 ქულა, 5 დაფარება)



REUTERS

ფილადელფია — შარლოტი. ალენ აივერსონმა ჯამაალ მაღუაა (№ 21) და ჯამალ მაშბურნთან ერთად მთელი „შარლოტი" მოატყუა

ვეტერანთა ლიგა რომ არსებობდეს და იქ 35-36 წელს აცილებული კალათბურთელები თამაშობდნენ, მაიკლ ჯორდანი უეჭველად იმ ლიგის პირველი კაცი იქნებოდა. 39-ს მიტანებული მაიკლი ახლაც ბევრს სჯობს, მატჩში საშუალოდ 25 ქულას იხვეჭს, მაგრამ ნბა ვეტერანთა ლიგა არ გახლავთ, ასე რომ...

„ვაშინგტონმა" ზედიზედ მეხუთედ წააგო. ყველაფრის მოგებას მიჩვეული ჯორდანი კალათბურთში მესამედ მოსვლისას უფრო ხშირად წაგებულია. როგორც დაბრუნებამდე თქვა, მას არ აღელვებს, მოიგებს თუ წააგებს, კალათბურთის სიყვარულმა დააბრუნა მოედანზე და იგი თამაშობს კიდეც. აგერ, „მილუოკის" 32 ქულა ჩაუგდო, გადასარევად ითამაშა, მაგრამ „ვაშინგტონს" ამით არაფერი ეშველა. ერთ დასკვნამდე მივდივართ, „ჯადოქართა" გამუდმებულ მარცხში ჯორდანის ასაკის დადანაშაულება არ შეიძლება. უბრალოდ, „ვაშინგტონია" ცუდი გუნდი და სხვა არაფერი. გავიხსენოთ, უწინ ვინ ეხმარებოდა მაიკლს ლიგის დაპყრობაში — სკოტი პიპენი, ჰორას გრანტი, მოგვიანებით დენის როდმანი და ტონი კუკოჩი. დღეს მაიკლს მხარს „უმშვენებენ" — კრისტიან ლეიტნერი, რომლის სუპერვარსკვლავობა ვერ შედგა, წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი კვეიმ ბრაუნი, რომელსაც ჯერ თამაშში ათი ქულაც არ ჩაუგდია და საშუალო გაქანების რიჩარდ ჰამილტონი. ასეთი ხალხის შემწეობით ჯორდანი „ვაშინგტონს" საშუალოებში ნამდვილად ვერ აამაღლებს.

„ვიზარდსი" აღმოსავლეთის ერთ-ერთ გრანდს, „მილუოკის" თავიდან ტოლსწორადაც შეება. ჯორდანის მარჯვენა რიგიანად მუშაობდა. მან იოლად იპოვა რიტმი და ბლომად ქულებიც მოიხვეჭა, საწყისი თორმეტწუთეული კი 29:29 დასრულდა. მეორე მეოთხედის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ ჯორდანის ახალგაზრდა (და უვიც) თანაგუნდელებს დაემართათ ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ მოუვიდოდათ პიპენს, კუკოჩს, როდმანს. მათ დაავიწყდათ მოედანზე ჯორდანის არსებობა, „მილუოკის" სწრაფ ტემპში აჰყვნენ და უთავბოლო გადარბენებსა და სროლებში თავიც წააგეს. ჯორდანი თითქმის ექვსი წუთის განმავლობაში ბურთს არ შეხებია (რას იზამდა, თუ არ აძლევდნენ). შედეგად „ვაშინგტონმა" ეს ექვსწუთიანი მონაკვეთი 21:2 წააგო. მერედა ელირსა ჯორდანს ბურთი, ჩააგდო და საერთოდ კვლავ რიგიანად ათამაშდა, მაგრამ ამით წახდენილ საქმეს არ ეშველა. „ვაშინგტონმა" ატლანტიკის დივიზიონის ფსკერზე დაყვინთა, საიდანაც მთელ წინა სეზონში ადგილიდან ვერავინ დაძრა.

გასული წლის უძვირფასესი მოთამაშე ალენ აივერსონი განაგრძობს ბევრი ბურთის გაფუჭებას, მისი „ფილადელფია" კი გამარჯვებებს. ისე კი აივერსონი „შარლოტთან" უკეთ ირჯებოდა, ვიდრე წინა ორ თამაშში, უკეთაც ისროდა 26 ცდიდან ათჯერ გაუმართლა და ჯამში 33 ქულასაც მოუყარა თავი. სხვაც ბევრი სასარგებლო რამ აკეთა და „სიქსერზმა" ზედიზედ მესამედ მოიგო. „ის თავის გარშემო სამყაროს ცვლის. ამ ბიჭს ძალიან დიდი გული აქვს, ის სხვა მოთამაშეებს უკეთესებად ხდის" — ცხელ გულზე, თამაშის შემდეგ ასე დაახასიათა „ფილადელფიას" დამრიგებელმა ლარი ბრაუნმა შეგირდთა შორის უპირველესი.

წინა სეზონის დასკვნით ეტაპზე „ბოსტონმა" წააგო დუელი „ინდიანასთან" და პლეი ოფს მიღმა დარჩა. წააგო იმიტომ, რომ ამ გუნდის მაისურათი მოთამაშე ათეულზე მეტი კალათბურთელისგან ნამდვილი მხოლოდ ორი — პოლ პირსი და ანტუან უოლკერი იყო. ახლა „ინდიანას" და სხვების ძლევა ნაკლებად უჭირთ „კელტებს", რადგან ზემოხსენებულ დუეტს ერთი კარგი ბიჭი, ახალბედა მსროლელ-ფრთა ჯო ჯონსონი მიემატა. 14 ნოემბერს „ბოსტონმა" შინ 101:93 დასცა „ინდიანა" და აღმოსავლეთში მესამე ადგილამდე აღზევდა. ყმაწვილმა ჯომ 22 ქულიდან 14 ბოლო მეოთხედში გაუხერხა თავისიანებს. 86:86 ანგარიშზე მან სამიანი ჩაუგდო მეტოქეს და ამას სამი ორიანი მოაყოლა.

აღსანიშნავია, რომ ჯონსონის საშუალო შედეგიანობა 14 ქულას აღემატება. „ბოსტონში" უამრავ ვარსკვლავ-ლეგენდას უთამაშია, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ლარი ბერდია ისეთი, ვინც პროფესიული კარიერის პირველივე თვეში საშუალოდ მატჩში ჯონსონზე მეტს იხვეჭდა. ასე რომ, ლეგენდარულ „სელტიქსს" ახალი ვარსკვლავი ეზრდება, რომელიც უცებ გაშინაურდა ნბა-ში. „საკუთარი წარმატებები არ მიკვირს. ნამდვილად არ გავხდებოდი პროფესიონალი, ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი" — ამბობს „სელტიქსის" ქომაგთა ახალი კერპი.

„ორლანდო მეჯიქმა" სტუმრად ფინიქსში მოიგო და ცოტა გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა. „ორლანდოს" მოქმედმა ლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ ყოფილი, ანფერნი ჰარდევეი დაჩაგრა და ოდენ 12 ქულას დააჯერა. „მეჯიქის" გამარჯვებაში 22 წლის მაკრეიდიზე არანაკლები წვლილი შეიტანა 39 წლის ცენტრმა პატრიკ იუინგმა, რომელიც იმ დღეს რაღაც სასწაულით თამაშის იშტაზე მოსულა. „შევატყვე, ამ ძველ ოთხთვალას ადრინდელი განავარდება მოუნდა და ვუთხარი — მაინც არაფერი გამოგივა, ბებერო-მეთქი. მან კი მომიგო — ჯიგარო, მე მხოლოდ ვცდილობ. საქმე კი ისე გამოვიდა, კი არ გაინავარდა, გადაგვიარა" — გაოცებას ვერ მალავდა ფინიქსელი თავდამსხმელი როდნი როჯერსი. ვერ გეტყვით, როჯერსის სიტყვებმა გაახელა თუ უბრალოდ წარსული გაახსენდა, იუინგმა ისეთი თამაში ჩაატარა, ბოლო ორ წელიწადში მისგან რომ არავის ახსოვს. „პატრიკი ყოველ საღამოს ვერ ჩააგდებს 22 ქულას და ვერ მოხსნის 15-ს, მისგან არც ველოდებით ამას, მაგრამ დღეს ჩვენ ნამდვილად გვჭირდებოდა მისი თავგამოდება" — თქვა მაკგრეიდიმ. იუინგი როგორც ყოველთვის, შეცვლაზე შემოვიდა. მისი თხოვნით, ძველმა მეგობარმა და ყოფილმა თანაგუნდელმა, აწ კი დამრიგებელმა დოკ რივერსმა იგი სათადარიგოებში გაამწესა და დიდად არ ტვირთავს. როგორც ჩანს, პლეი ოფისთვის ინახავს. „მე ჯერაც ვსწავლობ სათადარიგოობას" — ამბობს იუინგი.

„ატლანტა ჰოქსი" საშუალოზე ცუდი გუნდია, „იუტა ჯაზი" მასზე ცოტა უკეთესი, მაგრამ ეს ზოგადად. კონკრეტულ შემთხვევაში „ატლანტამ" შინ „იუტა" საშინლად გააბითურა. უბერებელმა ბებრებმა — მელოუნმა და სტოქტონმა ჯამში 12 ქულის მეტი ვერაფერი მოუტანეს „იუტას". სტუმართაგან მხოლოდ დონიელ მარშალმა მოაგროვა ათ ქულაზე მეტი.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 15 ნოემბერი**

**A ჯგუფი**

უნიკახა 86:79 ალბა
მაკაბი 78:73 ოლიმპიაკოსი

**B ჯგუფი**

კინდერი 94:72 ლონდონ თაუერზი
ჟალგირისი 81:78 პერისტერი
ულქერი 77:87 ბარსელონა

**C ჯგუფი**

პო ორტეზი 86:69 სკიპერი
ცსკა 77:92 რეალი
პანათინაიკოსი 102:64 ზადარი
ბუდუჩნოსტი 77:72 კრკა

## კორაჩის თასი

**ჯგუფური ეტაპი. I ტური. 14-15 ნოემბერი**

**H ჯგუფი**

კაპოშვარი (უნგრეთი) — სენტ პიოლტენე (ავსტრია) 101:83

**ავტოდორი 80:86 სლოვანი**

ავტოდორი: ადამუ (15), აგეევი, ავლიაში (17), ბაში (3), ბოტიჩევი (6), ერლი (4), გუტოროვი (3), მონია (4), სტიუარტი (28)
სლოვანი: კოვაჩი (12), ოჟბოლტი (12), ტუღუში (28 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა), უგრეხელიძე (26 წუთი, 16 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), ზაგორაცი (11), ჟაკელი (20), ჟუპანი (9)

ოთხშაბათს კორაჩის თასის ჯგუფურმა ეტაპმა სტარტი აიღო და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რა ბევრი უკლიათ ქართულ კლუბებს საშუალო ევროპულ დონემდე. მართალია, ამ შეჯიბრში ჩვენი გუნდები აღარ მონაწილეობენ, მაგრამ იქაა სარატოვის „ავტოდორი", რომელმაც თბილისის „მაკაბის" დასცინა, ორი მატჩის ჯამში 141 ქულით მოუგო და ამ ევროლიგასთან შედარებით მოკრძალებული ტურნირის ერთ-ერთ ჯგუფში ამოყო თავი. გუშინწინ კი ამ ერთი შეხედვით მძლეთამძლე რუსულმა კლუბმა იმ დარბაზში, რომელშიც სამიოდე კვირის წინ „მაკაბი" 81 ქულით დაამარცხა, ორი ქართველის გუნდთან ვერაფერი გააწყო.

ლიუბლიანის „სლოვანი", რომელსაც სამი მოთამაშე ტრავმირებული ჰყავდა, სარატოვს ეწვია, იქაურ „ავტოდორს" მშვიდად მოუგო და სლოვენიაშიც მშვიდობით დაბრუნდა. სტუმრებს მხოლოდ მეორე მეოთხედში გაუჭირდათ. „ავტოდორი" და განსაკუთრებით მათი ამერიკელი ლეგიონერი კბუ სტიუარტი ბურთს იშვიათად აცუდებდა. ხუთი ქულით წაგებული პირველი ათწუთეულის შემდეგ მასპინძლებმა თამაში გამოაკეთეს, ამერიკელს მხარი ალექსანდრ ავლიაშმაც აუბა და პირველი ტაიმის შემდეგ რუსული კლუბი 9 ქულით დაწინაურდა — 46:37.

„ავტოდორმა" შესვენების შემდეგაც იმავე სცენარით გააგრძელა ანუ აქცენტი ფარის მოთამაშეებზე გააკეთა, მაგრამ რამდენადაც კარგად თამაშობდა სტიუარტი, იმდენად ჩრდილში იყო სპორტის სასახლეში ქართველი გულშემატკივართათვის დიდად ნაქები ეისი ერლი. ამის მიზეზი კი ჩვენი ნაკრების ცენტრი, დავით უგრეხელიძე გახლდათ. მართალია, ქართველმა ამერიკელის სიმაღლეს ვერაფერი მოუხერხა და ამ უკანასკნელმა ჩვენებურზე ოთხით მეტი, შვიდი მოხსნა მიითვალა, მაგრამ მთავარი, ბურთების ჩაგდება, შავკანიანმა კალათბურთელმა ვერ მოახერხა. უგრეხელიძე წარმატებით უმკლავდებოდა მას ფარქვეშეთში და როცა ერლმა შვიდი სროლიდან შვიდივე ააცილა, იგი პერიმეტრზე ავიდა, ექვსმეტრიან ნიშნულს გასცდა და თამაშიდან ერთადერთი ბურთი იქიდან ჩააგდო. საბოლოოდ მას 4 ქულა დაუგროვდა, უგრეხელიძემ კი მოედანზე გატარებული 26 წუთის განმავლობაში 16 ქულა მიითვალა და მხოლოდ 20-ქულიან ანდრეი ჟაკელს ჩამორჩა.

სლოვანელებმა დაცვა გააძლიერეს, რასაც უსწრაფეს გარღვევებსაც კარგად უხამებდნენ და ბოლო ათწუთეულის წინ ანგარიში 66:65 იყო.

ლიუბლიანელებმა ტემპი არც შემდეგ დააგდეს. სწრაფი პირველი შეტევების წყალობით „სლოვანი" მალე დაწინაურდა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე უგრეხელიძემ პერსონალურების გამო მოედანი დატოვა, მასპინძლებმა ფარზე გაილაღეს და სირენამდე წუთნახევრით ადრე „ავტოდორი" სამი ქულით დაწინაურდა. მატჩის ბოლოს ჟაკელმა ივაჟკაცა, სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ოჟბოლტმა „სლოვანი" დააწინაურა და დარჩენილ დროში ლიუბლიანელებმა კიდევ ოთხი ქულა მოინაგრეს, რითაც ქართველების იოლი დამარცხებით შეგულიანებულ „ავტოდორს" ქართველებისვე დახმარებით თავისი ადგილი მიუჩინეს. რაც შეეხება კოტე ტუღუშს, მან 28 წუთი ითამაშა და 4 ქულა მოიპოვა, თუმცა სულაც რომ არ ჩაეგდო, ამისთვის არავინ დაძრახავდა, იგი დაცვაში შესანიშნავად ირჯებოდა.

**A ჯგუფი**

ფუენლაბრადა (ესპანეთი) — მონსი (ბელგია) 104:77, ბაიერი (გერმანია) — შალონი (საფრანგეთი) 77:66

**B ჯგუფი**

მიულერი (იტალია) — ანტვერპენი (ბელგია) 82:72, ნანსი (საფრანგეთი) — პორტუ (პორტუგალია) 106:82

**C ჯგუფი**

მარუსი (საბერძნეთი) — ფორუმი (ესპანეთი) 71:62, ოვარენშე (პორტუგალია) — დიჟონი (საფრანგეთი) 74:64

**D ჯგუფი**

რასინგი (საფრანგეთი) — რაანანა (ისრაელი) 66:69, ბეშიქთაში (თურქეთი) — ჰემოფარმი (იუგოსლავია) 79:61

**E ჯგუფი**

მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) — პაოკ (საბერძნეთი) 81:71, აელ ლიმასოლი (კვიპროსი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 84:108

**F ჯგუფი**

ბუიუქ კოლეჯი (თურქეთი) — ოპავა (ჩეხეთი) 88:91, ატომერომუ (უნგრეთი) — ხიმკი (რუსეთი) 82:64

**G ჯგუფი**

პივოვარნა (სლოვენია) — ევრაზი (რუსეთი) 98:79, მლეკარნა (ჩეხეთი) — პროკომი (პოლონეთი) 88:96

*მეორე ტური გაიმართება 5 დეკემბერს*

## საპორტას თასი

**ჯგუფური ეტაპი. III ტური. 13-14 ნოემბერი**

**A ჯგუფი**

სნაიდერო (იტალია) — ლუგანო (შვეიცარია) 84:68, სტრასბური (საფრანგეთი) — პამესა (ესპანეთი) 88:80, ტელეკომი (თურქეთი) — ტელეკომი (პორტუგალია) 87:75
სტრასბური 6 ქულა, პამესა 5, ტელეკომი (თურქეთი) 5, ტელეკომი (პორტუგალია) 4, სნაიდერო 4, ლუგანო 3

**B ჯგუფი**

ჰაპოელი (ისრაელი) — სიენა (იტალია) 87:71, პანიონიოსი (საბერძნეთი) — ლე მანი (საფრანგეთი) 108:83, ესტუდიანტესი (ესპანეთი) — დარუშაფაკა (თურქეთი) 91:85
პანიონიოსი 5 ქულა, ესტუდიანტესი 5, ჰაპოელი 5, სიენა 5, ლე მანი 4, დარუშაფაკა 3

**C ჯგუფი**

უნიქსი (რუსეთი) — ანვილი (პოლონეთი) 88:90, ტელეკომი (გერმანია) — არკადია (ავსტრია) 92:78, ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) — რიკო (ჰოლანდია) 97:75
ლიეტუვოს რიტასი 6 ქულა, ტელეკომი 5, ანვილი 5, უნიქსი 4, რიკო 4, არკადია 3

**D ჯგუფი**

იგოკეა (ბოსნია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 81:90, ცელეზნიკი (იუგოსლავია) — კერავნოსი (კვიპროსი) 82:64, სლოვაკოფარმა (ჩეხეთი) — სპლიტი (ხორვატია) 85:89
ირაკლისი 6 ქულა, სლოვაკოფარმა 5, ცელეზნიკი 5, სპლიტი 4, იგოკეა 4, კერავნოსი 3

*მეოთხე ტური გაიმართება 4 დეკემბერს*


REUTERS ტორონტოდან

## სულისკვეთება

კანადას ოლიმპიურმა სულისკვეთებამ გადაუარა. ფაქტები: ტორონტოში, ოთხი ოლიმპიადის მონაწილე მოთხილამურე ბრაიან სტემლი ბავშვებს შეხვდა და სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ზამთრის თამაშების ოლიმპიური ჩირაღდნის ასლი აჩვენა, ნამდვილი ჩირაღდანი ზუსტად ასეთია. ხოლო მონრეალში გამოჩენილი კანადელი სპორტსმენები საზოგადოებას ზემოხსენებული თამაშებისთვის საგანგებოდ შეკერილ ფორმებში წარუდგნენ — პრეზენტაცია იყო.


REUTERS მონრეალიდან



## მოჰამედი მანქანაში ზის

დუბაიში საერთაშორისო რალი გაჩაღდა. ლიდერობა უმალ ადგილობრივმა, ოღონდ ვარსკვლავმა, მოჰამედ ბენ სულაიემიმ იგდო. ამ ფოტოზე ის მანქანაში ზის, ხოლო ბორცვზე რომ დგანან, მისი თანამემამულე თაყვანისმცემლები გახლავან.


REUTERS დუბაიდან

## ჯერ დამთავრდეს და მერე

პატრიკ რუა კოლორადოელი მეკარეა. იმ დღეს, როდესაც ეს ფოტო გადაუღეს, მისი გუნდი „მინესოტას" შეხვდა და 1:0 დაამარცხა. საქმეც სწორედ ეს გახლავთ: თამაშის წინ გულშემატკივრებს შეატყობინეს, რომ თუ „კოლორადო" გაიმარჯვებდა, ეს იქნებოდა გუნდის მეორასე წარმატება რუას მონაწილეობით. ჰოდა, მატჩის დამთავრებამდე წამებით ადრე ტრიბუნებიდან ვილაცამ თაიგული ისროლა, მაგრამ მსაჯმა, აბა, ეგეთები არ იყოსო.

## ექვსი ქართველის ნატერფალზე


REUTERS ტულონიდან

ხვალ მარსელში დიდი ტესტია — საფრანგეთი ავსტრალიას ხვდება. ამ მატჩისთვის ორივე გუნდი ტულონში ემზადება. იქ, ავსტრალიელები, როგორც ხედავთ, კუნთებს იხურებენ, ფრანგი კრისტოფ დომინსი კი თანაგუნდელებს გაურბის და თან ფიქრობს, ნეტავ ავსტრალიელებსაც ასე გავექცეო. და კიდევ: ამ მოედანს რომ ხედავთ, სადაც ეს მზადებაა გახურებული, ადგილობრივი გუნდისაა, რომელშიც ექვსი ქართველი თამაშობს. ასე რომ, მას ჩვენებურთა ფეხის ანაბეჭდებიც ატყვია.


REUTERS ტულონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის
რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge